

ქართული პოეტი ქალები

Georgian Female Poets

ქართველი პოეტი ქალები ორენოვანი ანთოლოგია

იდეის ავტორი და შემდგენელ-რედაქტორი: მარიამ წიკლაური
ინგლისური ტექსტების რედაქტორი: მანანა დუმბაძე
დიზაინი, ყდა: მარია მიქელაძე
ყდაზე გამოყენებულია ლელა ცუცქირიძის ნახატი „მოლოდინი“

- © ა(ა)იპ „პოეზიის მეგობართა კლუბი“,
„ქართველი პოეტი ქალები“, ორენოვანი ანთოლოგია 2016
ყველა უფლება დაცულია



გამოცემა დააფინანსა თბილისის
კულტურული ღონისძიების ცენტრმა

The edition was funded by the Tbilisi
Center of Cultural Events

Georgian Female Poets Bilingual Anthology

Idea and compiler: **Mariam Tsiklauri**
English text copy editor: **Manana Dumbadze**
Designer: **Maria Mikeladze**
Cover painting: **Lela Tsutskiridze**

- © ა(ა)იპ „Club of Poetry Lovers“. *Bilingual anthology* 2016
Georgian Female Poets

All rights reserved

ISBN 978-9941-0-8555-0

საქართველო, თბილისი 2016
Tbilisi, Georgia, 2016

ქართველი პოეტი ქალები

ქართული ლექსი მდიდარი ენით, უძველესი პოეტური ტრადიციით, აზროვნების სიღრმით, სათქმელით, კარგა ხანია იმსახურებს მსოფლიოს წინაშე სათანადო წარდგენას.

დღეს საქართველოს იცნობენ როგორც ულამაზეს ტურისტულ ტერიტორიას, როგორც ღვინის უძველეს სამშობლოს, როგორც ზოგბლის უძველეს ქვეყანას, როგორც უნიკალური პოლიფონიური სიმღერის სამშობლოს, როგორც ძველ კოლხეთს, საიდანაც არგონავტებმა ოქროს საწმისი და გრძნეული ქალი მედეა, ჰელიოსის ვაჟის, მეფე აიეტის ასული გაიტაცეს, მაგრამ ნაკლებად იცნობენ იმ უამრავ მედეას, რომელთა ჯადო სიტყვის ძალა ბევრ ტკივილს კურნავს თანამედროვე ადამიანთა მშფოთვარე სულებში. არადა საქართველოს ბევრი საინტერესო პოეტი ქალი ჰყავს, რომელთა შემოქმედების პოპულარიზაცია და თარგმნა მნიშვნელოვან საქმედ გვესახება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო უძველესი პოეზიის სამშობლოცაა. გვაქვს უმდიდრესი ფოლკლორი, ქადაგთა ლექსით ლოცვის ტრადიცია, ლექსით საუბრის ტრადიცია-კაფიაობა, ლექსით დალოცვის ტრადიცია-სადღეგრძელო, გარდაცვლილთა ლექსით დატირების ტრადიცია-ნატირალი, ქალის მზითვშიც საპატიო ადგილი „ვეფხისტყაოსანს“ და სხვა ხელნაწერ წიგნებს ეკავა, ბავშვსაც კი ლაპარაკს ლექსებით აწყებინებენ. შემონახულია და ვითარდება მნიშვნელოვანი პოეტური აზროვნების კულტურა. ლექსებს თხზავდნენ მეფე ქალი თამარიდან დაწყებული, დედოფლები, წმინდანები, გლეხის ქალები თუ არისტოკრატები. ქართული პოეზია ყოველთვის უმაღლეს ხეობრივი ფასეულობებით საზრდობდა.

ბევრ საინტერესო პოეტ ქალთაგან ამ კრებულმა 32 თანამედროვე ავტორი გააერთიანა. კრებული აგებულია ქრონოლოგიურად. გამართლებულად ჩავთვალეთ, თუნდაც ამ სახით, ქართველი პოეტი ქალები სხვადასხვა მთარგმნელების მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ლექსებით წარუვდგინეთ უცხოენოვან მკითხველს. კრებული პირველი და არასრული ცდაა ამგვარი წიგნის შექმნისა საქართველოში. ვიმედვნებთ, ამ წიგნს, სხვა უფრო აკადემიური ანთოლოგიებიც მოჰყვება მსოფლიოს არაერთ ენაზე.

მადლობას ვუხდით ქალაქ თბილისის მერიას, მერიის კულტურის სამსახურს და კულტურული ღონისძიებების ცენტრს, ბილინგვური კრებულის გამოცემის დაფინანსებისა და თანადგომისთვის.

მარიამ წიკლაური

Georgian Female Poets

Georgian Poetry, with its rich language, ancient poetic tradition, deep innovative thought and strong motive, ever increasingly needs to be shared with a wider world and with modern readers.

Georgia is most famous as a spellbinding touristic designation, as it is the ancient motherland of wine, wheat and unique polyphonic songs. This is also the region, Colchis, from where the Argonauts stole the Golden Fleece and they kidnapped the sorceress Medea, daughter of Aeetes and the granddaughter of Helios. But very few people know anything about those many other Medeas, who with powerful, magic words manage to heal the wounded soles of the restless contemporary humanity. Georgia has had a significant number of female poets, worthy of international attention. We consider it crucially important to translate their works into various languages and promote them worldwide.

Georgia belongs to a small group of countries having the oldest poetry tradition and rich folklore. It is the country where poetry bears utmost importance, where there is a tradition of preaching and praying in poetical forms, talking to each other with verses, mourning the deceased with poems.

In our country the honorable part of a bride's dowry was the main poem of Georgia Shota Rustaveli's "Knight in the Panther's Skin" as well as other manuscripts. Babies in Georgia used to speak their first words with poems. The culture of poetic thinking is being preserved and developing in Georgia. King Tamar, other queens, saints, noble or peasant Georgian women used to write poems and all of them contributed to the values of the great Georgian literature and its unique poetry.

This combined collection consists of some 32-modern female authors. We consider it worthwhile to present portions of these authors, as provided by various translators, to foreign readers in this format. The collection is the first of its kind, albeit an incomplete effort to produce such a publication of this kind. We hope that a more complete or academic anthologies translated into different languages will be forthcoming in the nearest future.

We gratefully thank Tbilisi City Hall, its Cultural Service and the Center for Cultural Activities for funding the edition and their moral support.

Mariam Tsiklauri

სარჩევი

ანა ჯალანდაძე	7
ესმა ონიანი	13
იზა ორჯონიძე	27
ღია სტურუა	31
მანანა ჩიტიშვილი	39
ეთერ თათარაიძე	47
მარინა თექთუმანიძე	51
რუსუდან ჯაიშაური	59
ელა გოჩიაშვილი	65
მაყვალა გონაშვილი	69
მარიამ ნიკლაური	79
ნინო ქოქოსაძე	85
თამარ გაბროშვილი	89
ცირა ყურაშვილი	93
ლელა ცუცქირიძე	103
ნატო ინგოროყვა	111
ია სულაბერიძე	121
მანა სარიშვილი	127
მანონ ბუღისკერია	135
ბელა ჩეკურიშვილი	143
ირმა შიოლაშვილი	151
ლელა სამნიაშვილი	157
თეა თოფურია	165
ნატა ვარადა	173
კატო ჯავახიშვილი	179
ეკა ქევანიშვილი	191
ნინო სადღობელაშვილი	203
დიანა ანფიმიაძი	209
სალომე ბენიძე	217
გვანცა ჯობავა	227
ღია ლიქოკელი	241
ნინო ჭინჭარაული	249

Contents

Ana Kalandadze	7
Esma Oniani	13
Iza Orjonikidze	27
Lia Sturua	31
Manana Chitishvili	39
Eter Tataraidze	47
Marina Tektumanidze	51
Rusudan Kaishauri	59
Ela Gochiashvili	65
Makvala Gonashvili	69
Mariam Tsiklauri	79
Nino Qoqosadze	85
Tamar Gabroshvili	89
Tsira Kurashvili	93
Lela Ttsutskiridze	103
Nato Ingorokhva	111
Ia Sulaberidze	121
Maya Sarishvili	127
Manon Buliskeria	135
Bela Chekurishvili	143
Irma Shiolashvili	151
Lela Samniashvili	157
Tea Topuria	165
Nata Varada	173
Kato Djavakhishvili	179
Eka Kevanishvili	191
Nino Sadghobelashvili	203
Diana Anphimiadi	209
Salome Benidze	217
Gvantsa Jobava	227
Lia Liqokeli	241
Nino Chincharauli	249



ანა კალანდაძე

Ana Kalandadze

ანა კალანდაძე (1924-2008) - დიდი ქართველი პოეტი, ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი ქალი შემოქმედი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1946 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში და მაშინვე მოიხვეჭა მისი თაობის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პოეტის სახელი. ანა, როგორც მას სამშობლოში მოიხსენიებენ, დაიბადა გურიის პატარა სოფელ ხიდისთავში. მისი უნიკალური რითმული ქსოვილი და შინაგანი ლირიზმი განსაკუთრებით ხიბლავდა ქართველ მკითხველს. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და პრემია, მათ შორის შოთა რუსთაველის სახელობის პრემია (1985). მის ლექსებზე შექმნილია არაერთი პოპულარული სიმღერა. ანა კალანდაძე დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

Ana Kalandadze (1924 – 2008) – a great Georgian poet, one of the most outstanding figures in modern Georgian literature. Her first poem was published in 1946, when she graduated from the Tbilisi State University and immediately she became one of the most beloved poets of her generation. Ana (this is how everybody calls her in Georgia – mostly by name) was born in the small village of Guria region (West Georgia) called Khidistavi. Her intricate, subtle rhythms and personal lyricism gained her special popularity. She is a laureate of a number of Georgian state prizes including Shota Rustaveli State Prize in literature (1985). A lot of Georgian popular songs have been composed on her patriotic and lyrical poems. Ana Kalandadze is buried at the Mtatsminda Pantheon of the Georgian Writers and Public Persons.

საქართველოო ლამაზო

„სხვა საქართველო სად არი?“

ვრ. ორბელიანი

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გაიმბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა – არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?“
მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში – ტყე დანაბინდები,
ტყეში – ქობულა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევე მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“
ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანობს ბალახში...
თეთნულდზე – თოვლი მარადი,
ვენახზე – მზე და ბადახში...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
„სხვა საქართველო სად არი?“

როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური
მეშვიდე ცაზე ატანილს...
კლდეებში ჯიხვი დაფრთხება,
გორში იტირებს ატამი,
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?“
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
და თუნდაც გადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი,
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა.
სით გაუშვებდა ლელაი?
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
დაბლა შრიალებს მოლისებრ
ყანაი გაუყელავი...
ფიქრს დაუღლია ონისე,
ბახტრიონს მიდის ლელაი...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს ვიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“

You, Georgia, Beauty's Native Clime

„A land like you where shall I find?“

G. Orbeliani

For you winds sing a lullaby,
For you plane trees tell fairy-tales,
Though wooed by weeping willow's plight,
Of till I am with doubts in mind...
You, Georgia, beauty's native clime,
„A land like you where shall I find?“
The sky is lit with stars all bright,
The sky whose equal no one finds,
And when the moon is full of light
The heart, the heart is apt to fly.
We praise you, Georgia, glory's clime,
„A land like you where shall I find?“
The fields, the fields in Kartli seen,
High ridges here are spread with wings,
Here dusky woods in mounts are seen,
Where stags with branching antlers leap.
Plane trees here rustle in the plain,
To please the sun birds sing and fly,
Endowed you are with name and fame,
„A land like you where shall I find?“
Oh, dark blue grass that is so high,
And in this grass are strutting quails,
Tetnaldi's clad with snows sublime,
With gold and ruby vineyards blaze.
The only thought I have in mind:
„A land like you where shall I find?“
When stars start sparkling with brave sounds,
The cliffs then reach the seventh skies,
The billows clash against the mounts,

An ibex startles in the wild.
 In Gori's orchards, rich and fine
 With tears peaches weep and cry,
 You won't pass poppies big and bright,
 „A land like you where shall I find?“
 „Suliko“¹, sweet, with us was born,
 „Merani“² dashed off to the sun,
 If foes invaded, damned, for war,
 Aluda would struggle to the last.
 The rocks now have the wings of eagles,
 A vulture's head is in the sky,
 These fields unploughed all wave and flicker,
 „A land like you where shall I find?“
 „Suliko“, sweet, with us was born,
 „Merani“ dashed off to the sun,
 Onise³, tired is he by thoughts,
 Lela⁴ for Bakhtrion⁵ departs...
 The rocks now have the wings of eagles,
 A vulture's head is in the sky,
 These fields unploughed all wave and flicker,
 „A land like you where shall I find?“
 For you winds sing a lullaby,
 For you plane trees tell fairy-tales,
 Though wooed by weeping willow's plight,
 Oft ill I am with doubts in mind...
 You, Georgia, beauty's native clime,
 „A land like you where shall I find?“

Translated by Innes Merabishvili

1 A famous Georgian song.

2 Merani – N. Baratashvili's poem with a reference to Mazepa.

3 Onise – a character from one of Vazha Pshavela's poems.

4 Lela – a character from one of Vazha Pshavela's poems.

5 The fortress in Georgia.



ესმა ონიანი

Esma Oniani

ესმა ონიანი – პოეტი, მხატვარი, (1938-1999), 35 პერსონალური გამოფენის ავტორი. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში და თბილისის სამხატვრო აკადემიაში, იყო საბჭოთა კავშირის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მინიჭებული აქვს მრავალი პრესტიჟული პრემია მხატვრობასა და პოეზიაში. 2000 წელს გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. იგი გახლავთ 6 პოეტური კრებულისა და ჩანაწერების წიგნის ავტორი. მისი ალბომი „*მხატვრობა, ფერწერა, პოეზია*“ გამოიფინა კონგრესის ბიბლიოთეკასა და აშშ-ს სხვადასხვა მუზეუმებში, ასევე საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ლატვიაში და ესტონეთში. ესმა ონიანს დასურათებული აქვს არაერთი საბავშვო წიგნი, მისი რამდენიმე ნახატი და ლექსი შესულია ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში.

Esma Oniani – poet, artist (1938 – 1999). Since 1999 thirty five (35) personal and group exhibitions of Esma Oniani’s paintings have been organized. She was a member of the USSR Union of Artists and a winner of a number of national and international awards and prizes in arts and poetry, among them is Georgian State Prize (2000, posthumously). She is an Author of six books of poems and a notebook. Her Album „*Painting, Drawing, Poetry*“ was published in 2003 and displayed in the US Congress Library, in the museums of the USA, France, The UK, Sweden, Germany, Poland, Latvia and Estonia. Some of her poems and paintings are included in school textbooks.

სვანების სიმღერა მზეზე

ამოვიწევთ ქვებიდან,
ამოვიშლით მხრებს,
ამართულებს ზევიდან
დაგვეცემა მზე.

მზე.

ვღავართ ფეხებგამდგარი,
ემძიმება კლდეს;
თეძოჩამოწურულები
თვითონ ვგავართ ქვებს,
მიშვერილებს ცისაკენ,
მიბჯენილებს მზეს.

მზეს.

მზეო, დიღო მზეო, მზეო, საოცარო,
მზეო, მბრძანებელო,
ჩვენო სალოცავო,

მოგვადექ!

– მზეო, მე ვარ ქემზა.
ისევ ვძლიე ეს გზა.
დაგიგებ დათვის ტყავს,
დაგორდი ზედ ყვითლად.
უკვე ძველებურად
ვერ ვიმორჩილებ მკლავს,
მუნღიც მომისუსტდა,
შენც ველარ გიბჯენ თვალს,
ისე არ ავცრემლდე,

ეს არ მითქვამს ღღემდე;
იქნებ საბოლოოდ,
კვლავ გიგებ დათვის ტყავს,
წაბლისფერ დათვის ტყავს,
დაგორდი ზედ ყვითლად.
– მზეო, ვარ გიორგი,
შემარქვეს მთის ორბი.
გაგისწორებ წვრილ თვალს,
დაგიგებ დათვის ტყავს,
დაგორდი ზედ ყვითლად.
– მზეო, ვარ სოზარი.
დაგიგებ დათვის ტყავს...
– მზეო, ვარ ქელეშბი.
არ მაკლია, ვიცი,
ლაზათი და ეშხი;
ვღგავარ და გიციინი
რწმენისგან თავხედი, –
სიკარგის რწმენა,
არც მეტი, არც ნაკლები –
ძალის და გონების,
არსად დაყოვნების,
სიმხნევის, სიკეთის,
სიყვარულის, ვნების,
რწმენა ბრძოლასა და
ხიფათში რჩეულის,
რწმენა საკუთარი
სულის და სხეულის.
მზეო, დათვი შემომხვდა
მთისხელა!

მზეო, ტორი შემომკრა
ფიცხელად!
მზეო, ავიციინე და
გადავრჩი,
მზეო, გავიციინე და
დავაცხრი!
მზეო, შემოვკარ მკლავი,
მსხვილძარღვი.
მზეო, გავაძრე ტყავი,
მბრწყინავი.
მოვედი, გიბჯენ თვალს!
გიგებ ამ დათვის ტყავს!
გატოტილს, გადაშლილს.
წაბლისფრად ბეწვაშლილს;
გიგებ ამ დათვის ტყავს,
დაგორდი ზედ ყვითლად!
ცხრამეტი წლისა ვარ!
ცხრამეტჯერ მზისა ვარ!

— ვდგავართ ფეხებგამდგარი,
ემძიმება კლდეს;
თეძონჩამოწურულები
თვითონ ვგავართ ქვებს,
მიშვერილებს ცისაკენ,
მიბჯენილებს მზეს.
მზეს.
აუჰ, მზეო, მზე დიღო,
მაღალო და ცაზედ მკიდო!
ქუდებს თეთრებს, ნაცრისფერებს,

მიწისფერებს, თაფლისფერებს,
ხის გამძვრალი ქერქისფერებს,
ჩამომტვრეულ ქვების ფერებს,
მსხვილ სირმებით დაზოლილებს,
თხემზე ჯვრებად დაყოფილებს,
მიჩვეულებს მშრალად შრიშინს,
შეთელილებს მჭიდროდ, მიჯრით
მოვიძრობთ და გამოგიწვდით,
ჩამოისხი, ჩამოიწვი!
ჩაიწურე, ჩაიღვენთე,
ჩვენს ქუდებში ყვითლად ენთე!
ჩვენს ქუდებში ჩაიღვარე,
აგვივსე და ივარვარე!
ასე ქუდებგაწვდილნი
ვბრუნდებით უკან,
ჩვენ-ჩვენს კოშკში შემოგვაქვს
მზე თითო მუჭა.
მზეო, დიდო მზეო,
მზეო, საოცარო,
მზეო, მბრძანებელო,
ჩვენო სალოცავო,
მოგვადექ!

ჩვენ, ვინც ცოცხლებად დავუხატევართ

ჩვენ სურათებში ჩავმსხდარვართ წყნარად
და სხეულებით ტილოს ვამძიმებთ;
თვალეებით წელთა სივრცეებს ვფარავთ,
ჩვენს ფიქრებს ღრო ვერ გადაგვავიწყებს.

ჩვენი შუბლების თეთრი ნათება
ძვლების სიმაგრით თქვენსკენ მოიწვევს.
მუდმივ სივრცეში ვდგავართ კარებთან -
თქვენთან არასდროს გადმოვაბიჯებთ.

ჩვენ აქ სიკვდილის არ გვეშინია,
დასამარების მიწით და ნაცრით,
ჩვენ, ვინც ცოცხლებად დავუხატევართ,
ყოფას სიკვდილზე ვერაფრით გავცვლით.

სალამოები ისე იცდიან,
გაჩერებული მუდმივ სილურჯედ,
და გზები ჩვენთან ისე მიდიან,
ფიქრობთ – საით? – და ვერ გაგიგიათ,

გაჩერებული გვაქვს სიყვარული
და სიძულვილიც და ეშმაკობაც;
გაჩერებული ტანჯვა, განცხრომა,
ჩვენ ვართ ფიქრების ხატად გახდომა.

და ერთიც კიდევ არის უცვლელი –
რომ ჩვენ ვერაფრით ვარღვევთ სიჩუმეს,
ის ჩვენთან მოდის რბილ ნაბიჯებით
და ღიდ გროვებად ყველგან იბუღებს.

და ჩვენს მუდმივ და უცვლელ ყოფაში
ჩვენი ფიქრები წამით იყუჩებს,
ხმები გვწყურია! სიჩუმეშივე
სიჩუმის სკლომას ჩუმად ყურს ვუგდებთ.

სალამოები გვადგანან თავზე,
გაჩერებული მუდმივ სილურჯედ
და გზები ისევ იქით მიდიან,
ფიქრობთ – საით? და ვერ გაგივიათ.

Song of the Svans about the Sun

We shall rise from the stones
We shall raise our shoulders,
The sun will fall on us,
Standing upright.
We are standing with feet spread out,
The rock finds us heavy;
With our svelte thighs
We ourselves look like stones,
Directed to the sky
Abutting on the sun.
The sun.
Sun, great sun,
Sun, astonishing,
Sun, commanding,
Our object of prayer
 Come up to us.
– Sun, I am Kemza.

I have again traversed this road.
I shall spread out a bear's skin for you,
Roll on it yellow.
Already I cannot govern my aim
In the old way,
My knee too has weakened,
I cannot direct my eye at you

Without tears appearing in it,—
I have not said this till today;
Perhaps the last one,
I again spread the bear` s skin for you,
Chestnut-coloured bearskin,
Roll on it yellow.
— Sun, I am Giorgi
I have been nicknamed vulture.
I shall look at you straight,
I shall spread out a bear skin for you,
Chestnut-colouredbearskin.
Roll on it yellow.
— Sun, I am Sozar.
I shall spread out a bearskin for you...
— Sun, I am Sortman.
I shall spread out a bear skin....
— Listen to me attentively,
Sun, I am Keleshbi
I know, I am not wanting
In elegance and attraction.
I am standing and laughing to your face
Arrogant through confidence-
Faith in good,
Neither more, nor less.
Of power and reason,
Of not tarrying anywhere,
Of vigour goodness,
Love, passion,
Confidence of my being chosen

In fight and danger,
Confidence in my
Soul and body.
Sun, I met a bear
As large as a mountain!
Sun, it struck a paw at me
Outright.
Sun, I parried it and
Survived.
Sun, I laughed and
Threw myself into it!
Sun, I hit it with my arm,
Thick-veined.
Sun, I flayed it,
The shiny glittered,
I have come, I look straight in your eyes,
I spread out this bear skin to you,
Branched, opened
With chestnut-coloured coat;
I spread this bear skin out for you,
Roll on it yellow!
I am nineteen
Nineteen times the age of the sun,
— We are standing with our legs spread,
The rock finds us heavy;
With our thighs svelte
We ourselves look like stones
Directed to the sky
Abutting the sun.

The sun.
Oh, sun, being sun,
High and suspended in the sky!
We shall daft and hand you
Caps white, grey,
Earth-coloured, honey-coloured,
Tree bark coloured,
Of the colour of fallen stones,
Divided into a cross on the top
Accustomed to rustledrily
Felted in tight pack
Drip, melt into
Our caps, burn yellow in them,
Pour yourself into our caps,
Fill it for us and burn hot!
Thus with our caps in home
We return home,
To our towers we bring in
A handful of the sun,
The sun, the big sun,
The sun, wonderful,
The sun, the ruler,
Object of our prayer,
Come up to us.

We, Who have been Drawn Like Ones Yet Alive

We are seated quietly in pictures
And are heaving the canvas without bodies,
With our eyes we cover spaces,
Time cannot make us forget our thoughts.

The white lighting of our brows
Is striving towards you with the hardness of the bones.
We stand in eternal spaces at the door –
We shall never stop over to you.

Here we have no fear of death,
Of being buried by earth or ashes,
We, who have been painted live,
Cannot change life for death with any things.

Evenings are waiting,
Stopped in eternal blue,
And the roads again lead to us,
You think – where? – but fail to know.

Our love is stopped
And hatred and cunning too,
But torment and pleasure have ceased
We are the turning of thoughts into icons.

And one more thing is also unaltered –
That we cannot break the quiet
It comes to us in soft steps
And rests everywhere in great piles.

And in our eternal and unchanged being
Our thoughts cease for a second,
We thirst for voices! In quiet
We listen quietly to the breaking of silence.
Evenings are above us,
Stopped in eternal blueness
And the roads are again going there,
You think – where? And fail to know.

Translated by Ariane Chanturia



იზა ორჯონიკიძე

Iza Orjonikidze

იზა ორჯონიკიძე – პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატორი დაიბადა, 1938 წელს, თბილისში. წლების განმავლობაში იყო გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი. 1992-95 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. იგი რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. მან შეძლო ლექსებში ქალისთვის ტაბუირებულ ბევრ თემაზე ელაპარაკა პოეზიის ენით. დიდი ამაგი დასდო თანამედროვე ბერძენ ავტორთა ქართულად თარგმნის საქმეს. იზა ორჯონიკიძის შემოქმედებითი შრომა აღინიშნა არაერთი ლიტერატურული ჯილდოთი. იგი შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის, საგურამოს პრემიის, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატია. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე.

Iza Orjonikidze – poet, translator, (1938 – 2010), literary scholar, PHD. For certain years Iza Orjonikidze held the position of the director of Giorgi Leonidze Museum of Georgian Literature. In 1992 - 1995 she was an elected member of the Parliament of Georgia. Iza Orjonikidze is an author of a number of collections of poetry and prose including „*Two Kind Days*“, „*Before the Rain Comes*“, „*Auto portrait*“, „*Our Meeting is a Miracle*“, „*Long-ago and Just Now*“ etc. Themes of her poetry cover most critical gender issues previously taboo matter in Georgian poetry. Iza Orjonikidze received national acclaim as well as several literary and civic awards, including the Shota Rustaveli State Prize, the Order of Honour, Ilia chavchavadze and Niko Nikolasdze Prizes. Her poetry is translated into different foreign languages.

იომე ჩემთვის

იომე ჩემთვის, საყვარელო,
ჩემთვის იომე.
თუ არ ძალგამს
ქალისთვის ბრძოლა,
სამშობლოსთვისაც
ვერ გაირჯები —

იომე ჩემთვის, საყვარელო,
ჩემთვის იომე,
მამაკაცური მძიმე ტვირთი
ჩამომხსენი და
ჩემს ქალურ წიაღს დამაბრუნე —
სიცოცხლისათვის...

იომე ჩემთვის, საყვარელო,
ჩემთვის იომე,
განმაცდევინე ქვეყნად
ქალად დაბადების მშვენიერება,
სულისწამლები სისარულით დამაჯილდოვე,
იომე ჩემთვის!

Fight for me

Fight for me my love,
Please, fight!
He, who is lazy to fight for a woman,
Will never fight for his country.
Fight for me my love,
Please, fight!
Give me a break from that masculine burden,
And let me live - Just Be Alive,
Fight for me my love,
Please, fight!
Make me feel that pleasure - Being Born a Woman.
Endow me with that harrowing joy...
Fight for me my love,
Please do so!

Translated by Manana Dumbadze



ლია სტურუა

Lia Sturua

ლია სტურუა – პოეტი, დაიბადა 1939 წელს, თბილისში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მოგვიანებით სწავლა განაგრძო ასპირანტურაში. 1974 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „*ფერის არტისტული ფუნქცია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში*“. ატარებდა ლექციებს უნივერსიტეტში, პარალელურად მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, უფროს მეცნიერ-მუშაკად. 1999 წლიდან იგი გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის ლიტერატურული კონსულტანტია. 20-ზე მეტი წიგნის ავტორი. 2000 წელს მოენიჭა შოთა რუსთაველის პრემია.

ლია სტურუას პოეზია თარგმნილია გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ და ფინურ ენებზე.

Lia Sturua – poet, born in 1939, literary scholar, PHD. Her doctoral degree work „*Artistic Function of Color in Galaktion Tabidze's Poetry*“ was recognized as one of the fundamental works in Georgian literature. Lia Sturua is an Author of more than 20 poetry books and research publications in literature. She is a winner of Shota Rustaveli State Prize (2000). Lia Sturua is a senior scholar at the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. Since 1999 she has been working as a consultant at Galaktion Tabidze museum. Her poetry has been translated into German, French, Italian, English and Finnish languages.

სეზანი

ვინ დახატავს ატმების ჟრიალს?
ბატონი სეზანი, რომელმაც
ნატიფი ხელოვნების აკადემია დაამთავრა,
რომელსაც ქუჩაში სძინავს
და თავქვემ ფეხსაცმელები აქვს ამოდებული,
შია, სოთბის აუქციონზე
კი მის ატმებს ჭამენ.
ის არ უყვართ ფერ-ხორცის მხატვრებს
და სინატიფის მასწავლებლებს,
ის ოთხკუთხედა და წახნაგი სტკივა,
ის ხატავს ატმებს და არა
მათ ხორკლებზე მოარულ შიშს,
სად სცალია ამ მისტიკისთვის,
როცა ფორმის სიმართლეს გაუგო?
აი, ღმერთი რომ დაინახავს,
პირველივეს, რასაც გააკეთებს,
ატმის ჟრუანტელს დაუხატავს,
გადაიბირებს თავისკენ
ვარდისფერხორციანი მხატვრობიდან

ზღვაზე ვფიქრობ

რომელი კაცი დაიჯერებს
რომ ზღვაზე ვარ ფენხმძიმედ,
რომ ამხელა მოცულობის ჩასახვა შეუძლია
ჩვეულებრივ საწოლში?
რა პანიკურად ვცდილობ
ერთი-ორიტალღაგავაჩინო
ვისმოუნდებამათიმოკვლა,
რაადგილასჩაარჭობენლურსმანს?
ცრემლისხელმძღვანელობით
ვფიქრობ ამაზე,
მარილი მიჭამს ფრჩხილებდაკვნეტილ ხელებს
რა სიმწარეა!
წამოვიფოფრები, ერთი ზღვით შემსუბუქებული,
ნერვიულობისგან ფსკერით მოსიარულე,
წყალმცენარეების თმით,
ისეთი აქტიურიენით,
ყელს რომ შემოეხვიოს, მოახრჩობს.
ვის უნახავს ჩემი აგრესია!
მაგრამ შვილები, ის კაცი?
რომელმაც ბოლო ცეცხლი დამახარჯა
და ზღვით მადლობელი ვარ,
ეს გავაგონე,
აკვარიუმი რამდენიმე ჭიქა წყლით
ოკეანეზე რომ ფიქრობს,
ისე დავანახე
დიდი და მტაცებელი სივრცეები,
შიში ჩემთვის დავიტოვე,
ტალღების გაჩენის შესაძლებლობაც,
თუნდაც, გულიდან,
პირდაპირ, საოპერაციო მაგიდაზე...

Cézanne

Who will paint the thrill derived from peaches?
Mr. Cézanne, who
graduated from a fine art academy,
who sleeps in the street
with his shoes under his head.
He is hungry, while at a Sotheby Auction
his peaches are being eaten.
Those who paint flesh don't like him
nor do the art teachers:
he is rectangle with an aching side,
he paints peaches and does not fear walking
on the their bruises.
Does he have time for the mystics
since he understands the truth of form?
And as soon as God sees him
Cézanne will immediately paint the thrill of peaches
to win him over, not
a painting of pink flesh...


I am Thinking about the Sea

Will any man believe
I am pregnant with the sea,
or that such tremendous volume is possible
to fertilize in an ordinary bed?
Such panic
when I attempt to give birth to a couple of waves!
Who will be willing to murder them?
What spot will they drive a nail into?
I think about it
under the command of a tear,
salt eating up my bitten finger nails,
what bitterness!
I will force myself to put on airs
after I become lighter by one sea,
I, who walk on the bottom
out of depression
with algae-hair

and with such an active tongue
it will strangle if it wraps around a neck.
Nobody has ever seen my aggression!
But what about children, or that man
who spared the last fire for me,
for whom I am grateful and in return give the sea!
I made him realize this!
Just as the aquarium with just a few glasses of water
thinks about the ocean,
I got him to see
the huge and predatory spaces
leaving fear of myself
along with the possibility
of giving birth to sea waves
even from my heart
directly, on the surgery table.

Translated by DalilaGogia and Timothy Kercher

ქართველი პოეტი ქალები
Georgian Female Poets





მანანა ჩიტიშვილი

Manana Chitishvili

მანანა ჩიტიშვილი – პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დაიბადა 1954 წელს. დაამთავრა გორის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1986-2006 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. 2001 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ათამდე პოეტური კრებულის ავტორია. მინიჭებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია და პრიზი. მისი ლექსები თარგმნილია სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ, იტალიურ ენებზე.

Manana Chitishvili – poet, Literary Scholar, PHD, born in 1954. She is an author of eight collections of poetry. Manana Chitishvili's is an author of more than 30 monographs in Georgian Literature. Her works are translated and published in English, Russian, Azerbaijani and Italian languages. She is a winner of 7 prestigious literary prizes, and in 2001 she was awarded with the Order of Honor.

ლექსებს ვკითხულობ

ღმერთო, მომმადლე მოთმენის ნიჭი,
დამბადე მწყემსად ანდა – ქვითხუროდ,
გთხოვ, მაპატიო, მე როცა მიჭირს,
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.

იღგა დარი თუ გრიგალს მივქონდი,
სულ მწამდა, უცხო ნაპირს ვნახავდი,
ვერ დავიურვე მაინც სტრიქონი,
ვერ მოვიხადე ლექსის სახადი.

ნურვინ ჩამითვლის სურვილს აუგად,
მუდამ მლოცველი ვიყავ ამ მიწის,
რა ვქნა, თუ ისევ ეშხმა დამბუგა,
ბროწეულების ცეცხლში დავიწვი.

ქარი რომ ნისლის ბაირაღს გაშლის,
გულო, დარდით ნუ დამეხურები,
შორს ვარსკვლავები ბრწყინავენ ცაში,
როგორც იესოს ნაფეხურები.

ღმერთო, მომმადლე მოთმენის ნიჭი,
დამბადე მწყემსად ანდა – ქვითხუროდ,
გთხოვ, მაპატიო, მე როცა მიჭირს,
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.

წვეთები

*

ჩემი ხეობის ბილიკები
მიჯნურის გრძელი მკლავებია
ჩემს კისერზე შემოხვეული,
აღარსად რომ არ მახედებენ,
არსად მიშვებენ
და სხვა მინდვრებზე ოცნებასაც
ცოდვად მითვლიან.

*

ქარი თავნება ლელიანს შოლტავს,
მეც მესმის ჩქამი უღმობელ მღევრის...
დასაწყისიდან – არც ისე ცოტა,
დასასრულამდე – არც ისე ბევრი.

არც რა მაქვს,
ბედის ნებიერს რომ სურს,
ღრომ უმოწყალოდ ბევრჯერ გამრიცა,
ღმერთო, ამქვეყნად ტირილით მოსულს,
უკან ცრემლიანს ნულარ წამიყვან.

*

ყვაკილები
დედამიწის სიზმრებია,
ბნელ უფსკრულიდან
სინათლეზე ამოტანილი.

*

მე ახლა აფრებგადამსხვრეულ
იმ ნავსა ვგავარ,
უდაბურ ნაპირზე გამორიყულს
სუსხი და ქარი
განუწყვეტლივ ტანს რომ უფიტავს.
ისე შორს დარჩა სიყვარულის ზღვა,
ტალღის დგაფუნიც კი არ მოაქვს
ჩემამდე ნიავს.
არა, ამ ზღვიდან
ჩემი ნებით არ გამოვსულვარ,
სიყვარულის ზღვას ან ვინ ტოვებს
თავის სურვილით?
თვით უკუიქცა იგი ჩემგან,
მარტო დამტოვა...

I read poems

Oh, Lord, grant me a talent for enduring,
Let me be born as a shepherd or a mason,
Please, forgive me one thing: when I'm in trouble
Instead of praying I read some poems.

Both in the good weather and in the hurricane
I always believed, I would see an unknown coast,
But still I couldn't manage to sooth the verse,
And was not able to get rid of being taken ill with poetry.

Let no one consider my wish as something malignant,
I have always been praying for the salvation of this land.
I couldn't help being fascinated by the charm of a violet
And I was entirely burnt in the fire of pomegranates.

When wind spreads the banner of mist,
Oh, my heart, don't be locked by the sorrow.
The stars are shining far away, in the sky
Like Jesus' footsteps.

Oh, Lord, grant me a talent for enduring,
Let me be born as a shepherd or a mason,
Please, forgive me one thing: when I'm in trouble
Instead of praying I read some poems.

Drops

*

The Paths of my gorge
Are my lover's long arms
Embracing me
And not letting me to go anywhere
And forbidding me even to dream of
Other fields.

*

A rushy valley is whipped by winds
A severe stalker's rustle I hear,
Not little time's passed since my birth,
Not much is left to the end, it's clear.
I was cast down many times
I have nothing
A woman desires,
Oh, lord! I came to this world crying
And please, don't let me leave with tears.

*

Flowers
Are dreams of the Earth
Taken out from the dark precipice
To the light.

*

I am like a boat
With broken masts
Cast ashore on a deserted land,
Worn out and exhausted
By the wind and frost.
The Sea of Love is left so far away
That a breeze is unable to bring to me
Even a splash of a wave.
I landed on the coast
Against my will,
Who on earth leaves
The Sea of Love willingly?
The Love abandoned me
And left me alone.

Translated by Maya Jjeishvili



ეთერი თათარიძე

Eter Tataraidze

ეთერ თათარაიძე – პოეტი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, დაიბადა 1956 წელს. 13 წიგნის ავტორია, მათ შორის 6 პოეტური კრებულისა. გახლავთ ღირსების ორდენოსანი (2007) და რამდენიმე პრემიის ლაურეატი: 1990 წელს წიგნისათვის „*მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი*“ - პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ი. ჭავჭავაძის სახელობის პრემია, „საბა“ წიგნისათვის „*შენდობით მომიხსენიეთ*“ (2008); „*ოქროს ფრთა*“ (2011), „*საგურამო*“ – „პოეზიაში“ (2012); ფოლკლორის ეროვნული პრემია (2009); ზურაბ წერეთლის სახელობის პრემია „*ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისა და განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის*“ (2013). ერთადერთი პოეტი საქართველოში, ვისი პოეზიაც პირწმინდად თუშურ დიალექტზეა შექმნილი, დიალექტზე, რომელიც IX ს. ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკულ ნორმებს ინახავს.

Eter Tataraidze – poet, folklorist, pedagogue, PHD, Associate Professor, was born in 1956. Eter is the author of thirteen books, including six poetic collections. In 2007 she was awarded with a State Order of Honor. In addition, Tataraidze is a winner of several prizes: Ilia Chavchavadze prize of Georgian-European Institute of Paris for the book - „*Graced from God*“ (1990); Literary Price Saba for the book „*Remember Me With Mercy*“ (2008.); The Golden Wing prize (2011); Ilia Chavchavadze prize „*Saguramo*“ – for poetry (2012). She received folklore national prize in 2009. For the contribution to the popularisation and advancement of Georgian folklore, she was awarded with Zurab Tsereteli Prize (2013).

* * *

ღმერთთან სასაობროა'
სამზადისში ვარ,
მარცხენაში მიჭერავ
სიტყვის აღის კვარ,
მარჯვენაში დანაგრეხ
ნინოს ვაზის ჯვარ,
შუბლზე მაყრი სიწმიდის,
სიალალის ცვარ,
ფეკთან მიძოვს ყბაწითელ,
შუბლატუსულ ცხვარ...
ღმერთსთან სასაობროა'
სამზადისში ვარ.

* * *

დიდ ხნის ნადებ თოვლსავით
ვარ ერთთავად მდუმარ,
ი'მ თეთრ საფარველსავით
წუთისოფლის სტუმარ.
სამოკლეო სოფლისაჲ
დღედა' მჩივარ, მგმობარ,
ჲამ დალოცვილ მიწისაჲ
ერთ სამართ მშკობარ.

* * *

I prepare myself
To converse with God,
In my left hand
The word wick catches a spark,
Nino's twisted cross graces my right,
Pearls of chastity, honesty
Stud my countenance,
Red-jawed and fleece singed between the eyes,
By my feet, a sheep
Grazes the grass...
I prepare myself
To converse with God.

* * *

I am in complete taciturnity
Like that snow laid long on the earth,
I am like that cover white –
A temporary guest.
At this life brief I constantly grumble and curse,
Am I but a grave
To adorn this blessed land.

Translated by Nana Bukhradze



მარინა თექტუმანიძე

Marina Tektumanidze

მარინა თექთუმანიძე – პოეტი. დაიბადა 1956 წელს თბილისში. არის სამი პოეტური კრებულის ავტორი. წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს მოსწავლეთა გაზეთ „ნერვის“ რედაქტორად. ამჟამად არის საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პასუხისმგებელი მდივანი. მონაწილეობდა ოსტინის საერთაშორისო პოეტურ ფესტივალში აშშ-ში (2015).

Marina Tektumanidze – poet, born in 1956, author of three poetry books. She was a participant of the Austin International Poetry Festival in USA (2015); At present she is an Editor in Chief of the Georgian Pupils' newspaper called „Nergi“ and an Executive Secretary of the Georgian Union of Journalists.

ქვადქვევის ფილოსოფია

დედა მომიკვდა და ქვად ვერ ვიქეც...
მამა მომიკვდა და ქვად ვერ ვიქეც...
ბავშვობა მომიკვდა და ქვად ვერ ვიქეც...
ახალგაზრდობა მომიკლეს და ქვად გადავიქეც...
სიყვარული მოკვდა და ქვად გადავიქეც...
მოწყალება არ გავეცი, ქვად გადავიქეც...
ვ ქ ვ ა ვ დ ე ბ ი.....
ქვადქვეულ სულს კი მრავალგზის
სჯობს არ გქონდეს სული...
პროცესი დაიწყო....
მძიმეა სატარებლად ქვასული,
ძალიან მძიმე.....

„ეთი ოსური“

იქვე ვთამაშობ...

დედა და ბებია შეთქმულებივით ჩურჩულებენ...

შიგადაშიგ თვალს შემავლებენ...

შიშობენ, ყური არ მოვკრა...

„ეთი ოსური“ – მაინც მესმის,

ვიცი, ვისაც გულისხმობენ...

„ეთი ოსური“ – ლამაზი ქალია,

ყელმოღერებული დადის ჩვენს ქუჩაზე...

„ეთი ოსური“ – მამაჩემის თანაკლასელია...

„ეთი ოსური“ – დედას ეჯავრება, იმიტომ რომ მამას

უყვარს,

„ეთი ოსური“ – მეც მეჯავრება, იმიტომ, რომ დედას

ეჯავრება.

„ეთი ოსური“ – ჩემს დასაც ეჯავრება, ჩემს ბებიასაც...

მხოლოდ მამას უყვარს „ეთი ოსური“...

მამას ერთი ფოტოსურათი ჩუმად აქვს შენახული.

იმ სურათს, დღეს, მე ვინახავ.

მამა და „ეთი ოსური“ პატარები არიან ამ სურათზე...

მათ ერთმანეთი ამ სურათში უკვე უყვართ...

დედა და ბებია გვიმალავენ, მაგრამ

მე და ჩემმა დამ ვიცით,
ამ ქალს უბედურება მოაქვს ჩვენთვის...
ჩვენ გავიზარდეთ...
დედა მამას ატყუებს:
– იცი? ის ქალი მოკვდა!
მამის ცრემლები ღღესაც გულს მიკუმშავს...
– იცი? ის კაცი მოკვდა, –
სიმართლეს ეუბნებიან „ეთი ოსური“...
იმ ქალის ქვითინი ღღემდე მატირებს...
აღარც დედაა...
აღარც მამა...
აღარც სიძულვილი...
აღარც ეჭვიანობა...
ღღესაც დადის ჩვენს ქუჩაზე ლამაზი ქალი...
აღარ მძულს,
მიყვარს...
მამა უყვარდა,
მამას – უყვარდა...
მამას ვინც უყვარდა, ის მეც მიყვარს...
ეს სიყვარული,
მაპატიე,
დედა!!!

Philosophy of turning into the stone!

My mother died – and I could not turn into the stone...

My father died – and I could not turn into the stone...

My childhood died – and I could not turn into the stone...

They killed my youth – and I have turned into the stone...

I killed my love – And I have turned into the stone...

I was not charitable – I have turned into the stone...

I Am becoming the stone...

It is better not to have soul than soul which has turned into the stone...

It is better not to have the soul at all...

Process is on...

It is too heavy to carry stone soul, too heavy!

That Woman

Child I am in childhood play,
nearby I hear whispers of secret conspiracies
Between my mother and grandmother,
with frightful time-to-time glance
they are checking up on me to make sure
that I do not hear what their conversation is all about,
but I do, I do hear just two words – That Woman...
That Woman– she is a woman who walks
in beauty with her high-necked head high on our streets...
My father’s classmate,
my father’s high school love,
and my mother hates her...
I hate her too because my mother hates her,
and my sister hates,
and my grandmother hates her too,
only my father loves That Woman...
My father keeps one photo,
he keeps it in secret...

Now I do keep that photo...
Father and That Woman are little children
but already in love with each other...
They try to keep that secret from us...
But we know all about it, sister and I...
She brings distraction and tragedy to our family...
Time passes and we are grown-ups...
Mother says a cruel lie to my father
– Do you know? – „That woman, she has died!“
My father’s tears full of painful sorrow to this day
shrink my heart...
Then cruel truth, news of my father’s death is given to
That Woman...
And I still hear her cry of sorrow...
Her cry makes me cry, I cry, I cry everyday...
There is no more mother...
There is no more father...
There is no more love anymore...
Jealousy too is not there anymore...
That Woman still walks on our streets...
Hate is gone and now I love her...
My father loved her, my father loved her,
and I now love everyone whom my father loved...
Please, do forgive my beloved mother!

Translated by Ia Gambashidze



რუსუდან კაიშაური

Rusudan Kaishauri

რუსუდან კაიშაური – პოეტი, ფილოლოგი, დაიბადა 1957 წელს, თბილისში. 2001 წლიდან დღემდე მუშაობს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლში“. გამოცემული აქვს 3 პოეტური კრებული: „ლექსები“, 2002 „ცოცხების გადაფრენა“, 2004, „სახედრიდან მერნამდე“, 2013. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, აზერბაიჯანულ, ლიტვურ, ესტონურ, ჰოლანდიურ და სხვა ენებზე. მონაწილეობდა საერთაშორისო პოეტურ ფესტივალებზე: ლიტვა (2010), პოლონეთი (2012), ბათუმი (2013). ჰყავს ხუთი შვილი.

Rusudan Kaishauri – poet, born in 1957 in Tbilisi. Since 2001 she has been working at „The center for Cultural Relations - Caucasian House“. Her poetry is translated into Russian, Azerbaijani, Estonian, Dutch and Latvian languages. Three of her poetry collections have been published in 2002, 2004 and 2013. She participated in the international poetry festivals: Lithuania (2010), Poland (2012) and Batumi, Georgia (2013). She has five children.

სამშობლო

დიპიანი საზამთრო
ჩემი სამშობლოა,
ამწვანებული – ტკბილი.
ჯანმრთელობისთვის სასარგებლო
წყლებით, მინერალებით.
დაზოლილი გზებით,
რომლებიც სადღაც ერთდება,
თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ.
გატყაპნილი ლაქები
ჩვენა ვართ,
ვინმე რომ გვათვალთვლებს,
ვხვდებით და ფორმას ვიცვლით.
ადრე სამშობლო გრძელი იყო,
მუთაქასავით თავიქვეშ ამოღებული,
ხალხიც, თუ ფეხზე იდგა,
ზეცისკენ იყო წაგრძელებული.
მერე ხელებს ღონივრად უჭერდნენ,
უტყაპუნებდნენ:
დამწიფდა თუ არაო
და გასკდა, პირი დაალო საზამთრომ.
რა საზარელია გახლეჩილი სამშობლო!
ჭირისუფლებმა უფრო დააპატარავეს
თავიანთი გარშემოვლებით.
ცრემლი კი არა, ნერწყვი სდით.
სამშობლო და მისი ჭირისუფლები
ერთმანეთის შეჭმაზე
უარს არ ამბობენ.

ჩემი დღიურიდან

ასეთია მეხუთე შვილის სევდა.
დედას მობეზრდა
მისი პატარაობა
და გაბრაზებული
მთარბენინებს დიდობისკენ.
ხელი ვერ წაატანა
ბავშვმა თოჯინას,
სახტუნაოს, ზღაპრების წიგნს,
ფერად ჭოჭინას.
გამოტოვა უცხოობა, ბუტიაობა,
ჩაფსმა, ტირილი.
კომპიუტერმა შეიფარა
და ცურავს მასში ტივივით.
ღამით კი ფრთხილად ამოიყვანენ
აკვარიუმის თევზივით,
ლოგინში დებენ
დედის გვერდების გასათბობად.
ყურს უკან აკრია საღეჭი რეზინი,
როგორც ბავშვობის არდათმობა.

Motherland

A paunchy watermelon
Is my motherland.
Verdant and sweet.

Equipped with healthy mineral waters
And striped paths that cross elsewhere,
Hard to guess the beginning and the end.

The shapeless spots on the melon are we,
If examined, we feel and reshape.

The motherland used to be overlong,
Like a bolster put under a head.
And the people, if on their feet,
Held also themselves aloft.

They joined their hands onto the melon,
Banged on it, checking if it was ripe.
And it burst, opened its mouth.

How disgusting a bifid melon is!

Mourners
Made it even smaller
By walking around.

They wet saliva rather than tears.
The motherland and its mourners agree to
Eat each other.

From my Diary

That's the sorrow of the fifth child.
Mother is bored with the fact she is so small
And angrily encourages her to grow up fast.

The child couldn't manage to take away
Her doll, skipping rope, a storybook
Or a colorful go-cart.

Skipped shyness, pout
Pee and cry.

She has found computer – shelter
And she floats into it.
At night only she is taken,
Like a fish off the aquarium.

She is put in bed
To warm up her mum.
Behind the ear she keeps a gum
As a sign of filial disobedience.

Translated by Eliso Kiknadze



ელა გოჩიაშვილი

Ela Gochiashvili

ელა გოჩიაშვილი – პოეტი, დაიბადა 1959 წელს. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მუშაობს გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ ბინა-მუზეუმში. გამოცემული აქვს ლექსების ექვსი წიგნი. თარგმნილია ლიტვურ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, აზერბაიჯანულ, პოლანდიურ, გერმანულ ენებზე. მონაწილეობდა პოეზიის საერთაშორისო ფესტივალებზე: ლიტვა (2010), საფრანგეთი (2011).

Ela Gochiashvili – poet, born in 1959. She graduated from the Tbilisi State University, School of Journalism. At present she works at the Galaktion Tabidze Memorial Museum. Ela Gochiashvili is an author of six collections of poetry. Her poetry has been translated into Lithuanian, Russian, French, Italian, Dutch, German and Azeri languages, participated in international poetry festivals: Lithuania (2010), France (2011).

სიზმარში... სიზმარში

შვილს

ნუ გეშინია, მე შენ მყავხარ,
სიზმარში მყავხარ...
უყვარხარ დედას,
დარღობს დედა,
როცა სიზმარში ავად უხდები,
და ამ დარღვით ბედნიერია.
ნუ გეშინია, მე შენ მყავხარ.
სიზმარში კოცნის დედა შენს მუცელს,
სიზმარში რეცხავს საყვარელ სარეცხს –
სასაცილო პერანგებს და სახვევებს შენსას,
ვაშლებით და ბაჭიებით წვრილად მოჩითულს;
და სიზმარში გიფიცებს დედა.
ნუ გეშინია, შენ მყავხარ დედას,
რძის ნიაღვრებს გინახავს მკერდით
სიზმარში... სიზმარში...
ნუ გეშინია, მე შენ მყავხარ,
დედა ვარ და ოაზისი ვარ, სასწაული ვარ,
სიზმარში... სიზმარში...
სიზმრის ხალხი ვართ, სიზმრად მცხოვრებნი,
სიზმრიდან ვერ გამოალწია
ჩვენმა სიზმრის დედაშვილობამ...
მაპატიე, რომ ვერ გავაჩინე,
რომ არ შედგა შენი ცხოვრება;
გაპატიე, რომ ვერ გაჩნდი,
რომ არც ჩემი ცხოვრება შედგა.
ვაპატიოთ ერთმანეთს, რომ
ერთმანეთი ვერ გავაჩინეთ.

Dreams

(To a child)

Don't worry, I've got you
I hold you in my dreams
Mommy loves you....
Mama's worried
when you're sick in her dream
and she's glad to worry.
Don't be scared. I've got you.
Mom kisses your tummy in a dream,
washes your laundry in a dream,
your little t-shirts and tiny diapers
embroidered with apples and rabbits.
And in the dream, mama swears by your name
Don't be scared, mother's got you
She has streams of milk for you in her breast
in her dream
in her dream
Don't worry, I've got you
I'm mom, oasis, miracle
in a dream... a dream...
We are people of dreams, we live in our dreams
Our dreamy motherhood
couldn't escape the dream.
Forgive me – I wasn't able to give you birth
Forgive the fact your life never took place
I forgive you – You never appeared
I forgive the fact my life never took place
Forgive me as I forgive you –
We didn't give birth to each other.

Translated by Gio Tavartqiladze



მაყვალა გონაშვილი

Makvala Gonashvili

მაყვალა გონაშვილი – პოეტი, დაიბადა 1959 წელს. მაყვალა გონაშვილი არის საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი ქალი თავმჯდომარე და უკვე ბოლო ათი წელია ხელმძღვანელობს 600 წევრიან, მრავალეროვან მწერალთა, მთარგმნელთა და ლიტერატურათმცოდნეთა შემოქმედებით გაერთიანებას. მისი ლექსები შეტანილია არაერთ ეროვნულ და საერთაშორისო პოეტურ ანთოლოგიაში. იგი განსაკუთრებით პოპულარულია პოსტ-საბჭოთა სივრცეში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია და გამოცემული მსოფლიოს მრავალ ენაზე.

Makvala Gonashvili – poet, born in 1959, the first woman writer who has been heading the multinational Georgian Writers' Union, with about 600 members, for the last 10 years. She is a winner of a number of highest national and international awards and prizes in poetry. Makvala Gonashvili's poems have been included in various poetry anthologies. She is especially popular in the post soviet area. Her works are translated and published worldwide.

ოჯახი

სთქვი: – ვინ არიან ჩვენი შვილები?

ხიდი, რომელიც გვაერთიანებს?

ჯაჭვი, რომელიც გვაბამს ოჯახზე?

შოლტი, რომელიც სამუშაოდ მიგვერეკება?

ჩვენი გენების ოქროს ყულაბა?

ვნება, რომელსაც უკვდავება ჰქვია სახელად?

ან იქნებ ჩვენი საუკეთესო მესაფლავენი?

ხომ ასეც არის?

შვილი ფასდება მეტადრე იმით,

რაც უფრო კარგად, ღირსეულად დაკრძალავს
მშობლებს.

იქნებ სარკეა ჩვენი ნაკლის და ღირსებების?

და ამიტომაც, თუკი თავის მოწონება გვსურს,

შვილებს ვახსენებთ. ანდა პირიქით,

დაუსრულებლად ვცდილობთ რაიმე შევასწოროთ

მათ წრფელ ღიმილში.

ჩვენ საკუთარ ხინჯს სარკეებშიც ვერ ვხედავთ ხშირად

და თუ ბავშვებს ვსჯით, ერთმანეთის ჯინაზე

ვტანჯავთ.

შვილებში მხოლოდ ერთმანეთის ნაკლი გვაცოფებს.

– დედაშენივით დაბნეული რატომ ხარ, შვილო?

– მამაშენივით, როგორ მუდამ ბურტყუნებ, შვილო!

– დედაშენივით გინდა მხოლოდ სიტყვით იცხოვრო?

– მამაშენივით ფიცხი ხარ და დაუნდობელი!
და ტირის ბავშვი, უმწურო და მიუსაფარი
და მხრები ისე უკანკალებს, ვით მშობლებს გული!
ვიხუტებ მკერდში, თავბრუს მახვევს შენი სურნელი,
იხუტებ მკერდში და ჩემეულ თვალებში კოცნი.
მშვიდდება ბავშვი ბედნიერი და სანუკვარი,
ბავშვის ღიმილით გვიშუშდება ყველა ჭრილობა,
ბავშვის ღიმილით გვავიწყდება სოფლის ავ-კარგი,
ბავშვის ღიმილით გვინათდება მთელი სამყარო,
– სთქვი, სად არის შენი სული?
– ჩემი სული შვილებშია!
– სთქვი, სად არის შენი სული?
– ჩემი სული შვილებშია.
მხარს მხარზე გაღებ და გვეზრდება მხრები
ფრთებივით,
რომ დავიფაროთ ავთვალისგან ჩვენი კერია.
თვით უკვდავებაც მათ ღიმილთან, არაფერია!

ქვის კარიბჭე

მზე დაიღვენთა,
ქვის კარიბჭეს ჩრდილი მიადგა.
მე გიწვდი ამ გულს,
როგორც ლოცვით ნაქარგ იადგარს.
თითქოს ამ კართან
მე ოდესღაც ვიდექი უკვე
და ხმა უცნობი
მაფრთხილებდა მიწის ბინადარს.
მანსოვს მე ის ხმა
და სიტყვები დამვიწყებია.
მანსოვს თვალები,
მაგრამ სახე დამვიწყებია.
მანსოვს ნუგეში,
მაგრამ სევდა დამვიწყებია,
ავი სენივით დავიწყება გადამღებია.
გამილე კარი,
გვედრები,
გამილე კარი...
ვყვირი და ფრჩხილებს
სიმწრისაგან ძირამდე ვიკვნეტ.

იქნებ ძახილი ჩემი არის
სუსტი და უხმო
ან კარის იქეთ
უკვე არვინ არ არის, იქნებ?!
ან იქნებ სულაც, ველარა მცნობ,
ვიცვალე სახე?
და აღარ ვგავარ შენგან სრულქმნილს
ახლა სრულებით?
და სხეულს ჩემსას,
მირიადი წლებით განზანილს,
აღარ ატყვია
შენი წმინდა ნათითურები?
სხივს გამოვყევი,
სამზეოდან სხივი მეძახდა!
მინდოდა ერთხელ მაინც
შენი სახე მენახა.
დამვიწყებოდა მსურდა,
ქვეყნის დავიდარაბა.
აქ კი დახშული დამხვდა
ყველა კარი, დარაბა!
ო, გვედრები, ოდნავ მაინც
შემიხსენ კარი.

Family

Tell me, who are our children?
A bridge uniting us?
A chain, binding us as family?
A whip, driving us to work?
A golden bank of our genes?
Passion, called the Immortality?
Or our dearest grave-diggers?
Isn't that true?

We mostly value our children
According to the way
They pay last respect to their parents.
Children might be a mirror of their parent's merits
and demerits,
And that is why we refer to our children,
When we need to show off, or vise-versa...
And keep trying to improve something in their
innocent smile.

We hate our defects in our children,
And punish them just to spite each other:
„Baby, you are as absent minded as your mom is!“
„Can't you stop grumbling like dad?“
„You know nothing but words, like your mother!“
„Hot-tempered and ruthless you are like your dad!“

And the child is weeping,
A helpless child, crying her hear out,
Her shoulders shivering like our heart-beating.
I hug our child and your scent makes me dizzy.
You hug our child and my scent makes you dizzy too.
And you kiss our child's tearful eyes.
The child calms down, child is happy, our cherished
child.

The child's smile heels all our wounds,
The child's smile lights up the world,
And makes us forget the adversities of life.

„Tell me, where is your soul?“
„My soul is with my children!“
„Tell me, where is your soul?“
„My soul is with my children.“

I press my shoulder to yours
And two huge wings grow from our shoulders,
They keep our family from an evil eye,
Even eternity seems nothing compared to their smile!

A stone Gate

The sun is melting down.
A shadow is stretching to the stone gate.
I hold out my heart,
Like a hymnbook embellished with prayers.
Have I ever been here, at this stone gate?
A strange voice is warning me,
A child of the earth.
I remember that voice,
But forgot the words.
I remember those eyes,
But forgot the face.
I remember the encouragement,
Forgot the sorrow.
Forgetfulness is contagious like disease.
Open the gate! I beg you, open the gate!
I'm biting my fingernails, and I'm screaming...But,
Either my call is too weak, soundless,
Or all have left,
Nobody is waiting for me behind the gate.
Don't you remember me?
Transformed?

Am I not the same unique creature, your piece of art?
Not a trace of your holly fingerprints on my body,
My vile body.
Sunbeam was calling me,
And I followed the beam
With the hope to catch a glimpse of you,
With the hope, to finish with vanity.
But the gate is closed, light – gone,
Down on my knees, I plead: Open the gate a little bit!
Open the gate, please!

Translated by Manana Dumbadze



მარიამ წიკლაური

Mariam Tsiklauri

მარიამ წიკლაური – პოეტი, საბავშვო მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, დაიბადა 1960 წელს, თბილისში. ერთ-ერთი დამაარსებელი საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის და საქართველოში ქართული საბავშვო წიგნის დღის, რომელიც 27 ოქტომბერს აღინიშნება. რედაქტორობდა „საბავშვო ლიტერატურის ალმანახს“. მიჰყავდა საავტორო გადაცემები რადიო „ივერიაში“ ლიტერატურაზე. საერთაშორისო ლიტერატურული და საგანმანათლებლო პროექტების, საერთაშორისო ფესტივალის „ლიტკური გაზაფხული“, საგამომცემლო პროექტების ხელმძღვანელი და მონაწილეა. 20-ზე მეტი წიგნის ავტორია. არაერთი კონკურსის გამარჯვებული და პრესტიჟული პრემიების ლაურეატი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია და შესულია სხვადასხვა კრებულებში ანთოლოგიებში, ალმანახებსა და ჟურნალებში: იტალიაში, რუსეთში, ლიტვაში, ინგლისში, უკრაინაში, მათ შორისაა „*მსოფლიო პოეზიის ალმანხი 2011*“.

Mariam Tsiklauri – poet, children’s writer, essayist, born in 1960, Tbilisi. Mariam Tsiklauri is one of the founders of the „Libo“ Foundation for the Development of Children’s Literature. She initiated the annual celebration of the Day of the Georgian Literature for Kids - October 27. She is an editor of the „*Almanac of Literature for Children*“ of the Libo Foundation. Her works are included in various textbooks and literature compilations. She is an author of more than 20 books of poetry and essays. She is a winner of a number of national poetic prizes. Her poems are translated into English, Lithuanian, Italian, German and Russian languages. Some of her poems are included into „*World Poetry Almanac 2011*“.

ბაბუანვერა

თუ მართლა
ღმერთი ხარ, სიყვარულო,
რატომ ჰგავხარ
ბაბუაწვერას?
რა ვქნა, მითხარი,
რით დაგიფარო,
ნიავის ერთი შემობერვაც
თუ ასე გცელავს,
გულის გრიგალს
როგორ გაუძლებ?

რა ვუთხრათ შვილებს?

რა ვუთხრათ შვილებს,
როცა ომიდან დავბრუნდებით,
როცა მშვიდობიდანაც დავბრუნდებით,
როცა სიკვდილიდანაც დავბრუნდებით,
რას ვეტყვით შვილებს,
ყველგან სიყვარულს ვეძებდით
და ვერსად ვიპოვეთ,
თავისუფლებას ვეძებდით და
მონობაში მივაკვლიეთ?
ბედნიერებას ვეტროფოდით და
უბედურებაზე ვიქორწინეთ?
რას ვეტყვით შვილებს,
ვერ ვიპოვეთო ღმერთი ცაში,
სახლი – მიწაზე,
შემოგვერღვაო ჰორიზონტები,
ვერ დავიცავით სიმყუდროვე
ჩვენი ტაძრების?
რას ვეტყვით შვილებს,
რისთვის გაჩენდით? –
თქვენს ჩვილ სულებზე
რომ ვმდგარიყავით,
როგორც კიბის საფეხურებზე,
და გვეხოხა ზევით, ცისაკენ
და მაინც მიწა გვფარებოდა თავზე
საბრალოთ.
აჰა, ტანჯვა – თქვენი ბეთლემი,
თავად შვით ღმერთი,
რომელიც თქვენი ტოლი იქნება,
უფრო მეტად დაგიდგებათ
მხარში დალლილებს.

A Dandelion

Love,
if you're a god indeed,
why are you like, then,
some dandelion?
Tell me what can I do
to keep you safe?
If a single blow of breeze
scythes you down,
how can you stand against
the heart's hurricane?

What to Tell Our Children?

What to tell our children,
when we're back from War,
back from Peace too,
from Death itself, -
what shall we tell them:
We looked for Love
but found it nowhere?
Looked for Freedom
but found it in slavery?
Longed for Happiness
but wedded Misfortune?
What shall we tell our children:
That we did not find a God in skies,
Home on the earth;
That our horizons were unwoven,
and we could not save the quiet
of our temples?
What shall we tell our children:
Why we begot you?
To stand upon your infant souls,
like on some stairs,
for crawling up to Heaven,
but still staying covered with Earth,
we the wretched.

Here's the suffering – your Bethlehem:
Give birth, by yourselves, to a God
that'll be your peer,
that'll support more
you the toilers.

Translated by Ani kopaliani , David Akriani



ნინო ჟოჯოსაძე

Nino Qoqosadze

ნინო ჟოქოსაძე – პოეტი, მთარგმნელი, დაიბადა 1960 წელს, პროფესიით ექიმი-კარდიოლოგი. მისი ლექსების კრებული „*მინიმა*“ გამოიცა 2010 წელს, ხოლო ქართულ ენაზე თარგმნილი ვლადიმირ მაიაკოვსკის პოემა „*ღრუბელი შარვლით*“ გამოვიდა 2013 წელს. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ ენაზე.

Nino Qoqosadze – poet, translator, born in 1960, professional physician, cardiologist, actively participated in various social and cultural programs and supports the development of the civil society in Georgia. Her book of collected poems „*MINIMA*“ was published in 2010. Among her remarkable translations is Vladimir Mayakovski’s famous poem „*A Cloud in Trousers*“ (published in 2013). Nino Qoqosadze’s poems are translated into English.

მინიმა

მწერ – აცივდაო,
თურმე ქარიც დაქრის ვერავი.

.....

აქ, კარადაში,
შენს ეულად დარჩენილ კაბას,
გავიხადე და –
მოვახურე ჩემი პერანგი.

ლიფტის მინიმა

მეორე.

მესამე.

მეოთხე.

ინთება ტაბლოზე სართული.

მე ხომ უცნაური ჩვევა მაქვს –

ყველაფერს ვართულებ!

ახლაც მეეჭვება – სახლში ხარ?

ან იქნებ აღარც კი მიმელი...

აჰ, სხვა დროს!

აჰ, სხვა დროს, ძვირფასო!

მესამე.

მეორე.

პირველი.

Minima

It's getting cold – you wrote
And even the wind blows so hard,
Your lonely dress, here in the wardrobe
Is covered by my shirt for keeping warm.

Elevator minima

The second,
The third,
The fourth,
Lighting the floors on plate,
The strange habit I have
Obstacles I see again.
I wonder are you at home?
Or not waiting for me, perhaps
Oh, the other time!
other time, my dear!
The third,
The second,
The first...

Translate by Khatuna Bolqvadze



თამარ გაბროშვილი

Tamar Gabroshvili

თამარ გაბროშვილი – პოეტი, პროზაიკოსი, მეზღაპრე, მხატვარი, ქიმიკოსი, დაიბადა 1961 წელს, გორში. გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული: „ახალწლის ღამე“ (1993წ.), „სიყვარულის თილისმა“ (1996წ.), „გაიმეორე სიცოცხლე“ (2004წ.) და „ქრიზთას ანთოლითები“ (ანთოლითი – გაქვავებული ყვავილი) (2012წ.). მისი ნაწარმოებები 1983 წლიდან იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში. იგი ცნობილია მინიმალისტური პოეტური სტილით; ლექსები თარგმნილია სომხურ და ინგლისურ ენებზე.

Tamar Gabroshvili – poet, prose-writer, storyteller, artist and chemist is born in 1963 in Gori. She is the author of four poetry books: „*New Year's Eve*“ (1993), „*Talisman of Love*“ (1996), „*Repeat the Life*“ (2004) and „*Criztha's Antholyths*“ (antholyth – a petrified flower) (2012). She is well-known with the minimalistic poetic style. Since 1983 Tamar's writings have periodically been published in literary journals and newspapers. Poetry pieces are translated into Armenian and English languages.

*

წვიმს...

ქოლგასავით დამყვება ფიქრი –
„მასაც ვუყვარვარ!“

*

ერთი ხე ხმება,
მეორე – ჰყვავის.
ასეთია ბალი.

*

მუნაზე ჰკიდია
გრძელი საქანელა;
გაქანდები –
ბავშვი ხარ,
გამოქანდები და –
უკვე მოხუცი.

*

მზე ჩადის –
გრძელდება
ჩემი ჩრდილი
და...
გიახლოვდება შენ.

*

It rains...
Like an umbrella, the thought follows me:
„He loves me too!“

*

One tree is dying,
the other one is blooming:
The garden's rule!

*

There is a swing
hung on an oak tree:
A sway forth –
a kid you are;
A sway back –
an old one, already.

*

The sun is setting –
my shadow is
stretching...
Approaching
you.

Translated by David Akriani



ცირა ყურაშვილი

Tsira Kurashvili

ცირა ყურაშვილი – პოეტი, პროზაიკოსი, საბავშვო მწერალი, დაიბადა 1962 წელს, ბაღდათში. პროფესიით ფილოლოგი. მუშაობდა ჟურნალ „განთიადში“, დააფუძნა მწერალთა ასოციაცია „ურანი“ და შემოქმედებითი კავშირი „მარიოტი“, ლიტერატურული გამოცემები „ენიგმა“. მისი ლექსები შესულია სხვადასხვა ქართულ და უცხოურ ანთოლოგიაში. გამოცემული აქვს კრებულები: „ასფალტის ყვავილები“, ლექსები, 1996, „ქრისტესია“, ზღაპრები, 1999, „ანბანური პერიოდი“, ლექსები, 2006, „მოთხრობები და მინიატურები“ 2008, „ხიზნები კომანის მონასტერთან“ (გამომცემლობა „ინტელექტი“, 2011, რომელიც „საბას“ ნომინატი გახდა პროზის ნომინაციაში და „სამოთხის სარკმელი“, ლექსები (გამომცემლობა „საუნჯე“), 2013. მისი ნაწარმოებები თარგმნილია აზერბაიჯანულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე.

Tsira Kurashvili – poet, editor, teacher, born in 1962. She is a founder of the Writers' Association „Uranus“ (1991) the Union of Artists (1993, President) and the Community Newspaper „Enigma“ (In 2004) Her poems were included into Georgian youth poetry anthology. In 1996 she published a collection of poems called „The Asphalt Flowers“. In 1999 published the book of fairy tales – „Qristesia“. In 2002 the Caucasian House literary magazine „Alternative“ marked her short story „Do not Look Back“ the best work of the year. In 2012 for her collection of short stories she became a nominee of the literary award „Saba“. Her latest collection of poems „Paradise Window“ came out in 2013.

მამა

მზე გვანდე,
არა, ჯერ მზე გაგვანდე..
და შარავანდი...
მერე მზე გვანდე და დაგვითმე მზე
და უცაბედად ლელვის ფოთლებზე
თბილი ჩრდილები დასხდნენ მიწურთან.
მამა, მას შემდეგ ველი თმებზე
იმ თბილ ხელისგულს...
მამა, ჩემს თმებზე მზე მიიწურა.
როგორ დაგკარგეთ,
სამაგიეროდ
თორმეტი ღრმული ვნახეთ შენს ხატზე,
ჩვენ-ჩვენს ხატში კი ასოთხმეტი
ნივთიერება
და დაგვავიწყდა სიტყვა „ჩვენთანა“.
მზეში ჰყვოდა ეკლის ყვავილი,
და მე მიყვარდა ეკლის ყვავილი,
ეკლის ყვავილის სახლში შეტანა.
გადაგვიწყდა არტახები.
შენს ჟღალ წვერებზე
იცინოდნენ მშენებლები და შენობები,

თურმე ვისხედით იმ ბუდეებში
როგორც ბარტყები,
ვისხედით, როგორც შენი ობლები.
ჩვენ აგვეხილა თვალი ქვა-ლორღში
და ნანგრევებში...
ჩამოდგა კიდეც რუხი ბურანი,
რომ ვარსკვლავების ღრმა თვალებში
ამოგვეკითხა
კაცთა კვლები და მიწისძურანი.
მამა, გვაკმარე ეს ჯოჯოხეთი,
ისედაც მიდის ქარავანი
ბნელი ქვესკნელის,
ჩვენ გადაგვცილდა შარავანდი,
ჩვენ ვართ წაშლილი..
ჩვენ ვართ წაშლილი ფრესკები, მამა!

ქვა

ნაზია შენი ქვეყანა
მოვიდა სეტყვა და
არ დახვდა ქვა
შენ არ ხარ
ნეტა სად ხარ
შენი ქვეყანა იყო ვაზი ნაზი და ლამაზი
შენი ქვეყანა ახლაც ნაზია
წავიდა ვასია და მოვიდა ვასკო
მაინც არის ფიასკო
ის არი ნაზი და რადგანაც არ არი ურჩი
მოერთვა ფიასკო მშობლიური
ღორების დრუნჩით
მათი დინგები ლულებივით
მოშვერილია
გამოთხრილია
ფესვები და შეთქვლეფილია
მუხები წაბლები წიფლები
ან გაწითლდები ან გაცისფრდები
ხან გაწითლდები ხან გაცისფრდები
შეთქვლეფილია უკვდავების
წყლები და ზღვები
შეთქვლეფილია
ნატერისთვლები მარგალიტები
ჩიტები გვრიტები რიკულები
არ გინდა ყურები
რათ გინდა ყურები

რას იყურები რო იყურები
ნუ იყურები
შენი ქვეყანა ნაზია
შენი ქვეყანა ვაზია
მოვიდა სეტყვა და
არ დახვდა ქვა
დახვდა შლამი და დახვდა მიწა
დახვდა ღორღი და დახვდა თიხა
შენ საით გდინხარ
თქვლეფენ დრუნჩები
თქვლეფენ ღინგები
წინ ხაზინები საფლაკები
ძვლების მიღებით
შენ კი არ ხარ
შენი ქვეყანა იყო ნაზი
ვაზი და ლამაზი
და როგორც ხატი
ყალბით ნახატი
მოვიდა სეტყვა და
არ დახვდა ქვა
არ დახვდა ქვა
არ დახვდა ქვა
რადგან შეგთქვლიფეს
და აღარ ხარ
და აღარ ხარ
შენც აღარ ხარ
ამოდის მზე და
ახელს თვალს

Father

Father,
Entrust us with the Sun
No, first confide the Sun to us...
...And the halo...
Then...entrust the Sun to us
Let us have the Sun
And all of a sudden,
warm shadows settle
on the fig leaves
next to the mud- hut.
Father, since then
I've been longing for the touch
of a warm palm on my hair ..
Father, the Sun has set on my hair.
How come we lost you
and instead
We have found twelve pits
on your icon
and one hundred and fourteen matters,
in ours ,
And never remembered the words
„be with us“.
The thorn flower was blooming in the sun
and I loved the flower of thorn.
And I loved bringing it home.
We forgot the swaddles .
The builders and the stones
laughed at your red beard,

It turned out,
We sat in those nests as fledglings,
we sat there as your orphans,
our eyes opened to the world
amongst stones and rabble
and ruins,
and the grey mist settled all over
so that we should read
in the deep eyes of the stars
the stories of murders and earthquakes
Father, enough of this hell
The caravan of darkness still rolls on
Our halo is growing pale
We are the faded frescoes.
we are the faded frescoes,
Father

The Stone

Your country is gentle
There came hail and
There was no stone
You were gone
Where are you
Your country was a gentle vine
And beautiful it was
Your country is still gentle
Vasia's gone and Vasco's come
And still fiasco's what we have
It is gentle and obedient
So it has fiasco delivered by its native pigs
Their noses are aimed like the guns
Roots are dug up
And devoured are
Oaks Chestnuts Poplars
You get either red or blue
At times red sometimes blue
They have devoured immortality springs and seas
They have devoured pearls and magic gems
Birds larks and ornaments
You need no ears
Why do you need them

And where on earth are you looking
What are you looking for
Why are you looking at
Don't
Your country is gentle
Your country is the vine
There came hail
And there was no stone
There was sleet and there was earth
There was rubble and there was clay
Where the earth are you
Greedily devoured are the graves-the bones
And you are gone
Your country was gentle vine and beautiful it was
Painted like icon
There came hail
And there was no stone
There was no stone
There was no stone
As you were devoured
And you are no more
You are no more
Even you are no more
The sun rises
And opens its eyes

Translated by Eliso Pantskhava



ლელა ცუცქირიძე

Lela Ttsutskiridze

ლელა ცუცქირიძე – პოეტი, საბავშვო მწერალი, მხატვარი. დაიბადა 1964 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. არის წიგნების ავტორი: „ლილოჭრელი“, პოეზია, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012 წ.; „გუდანდარას და გუდუ-გუდუს თავგადასავალი“, საბავშვო, გამომცემლობა „ლიოგენე“, 2012წ.; „მაცივარზე მისაკრავი წიგნები“, საბავშვო, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015; „ბიბლიური იგავები“, საბავშვო, ქარჩხაძის გამომცემლობა, 2016წ. რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

თარგმნილია და გამოცემულია რუსულ, ინგლისურ და ლიტვურ ენებზე.

Lela Tsutskiridze – poet, born in 1964, children’s writer, author of the following poetry and children’s books: „Lilochreli“ („Universali“ Pbl. 2012); „The adventures of Gudu-gudu and Gudanara“ (Diogene Pbl 2012); 3 books for the book series called: „Stories to put on your Fridge“ (Bakur Sulakauri Pbl. 2015); „Bible short stories“ (Qarchkhadze Pbl. 2016); Lela Tsutskiridze Is a laureate of a number of awards in literature. Her works have been translated and published in Russian, English and Lithuanian Languages.

დაცლა

დაცალეთ ეს ტყე ავეჯისგან!
გამოიტანეთ იქიდან
კომოდები, სკამები, მაგიდები...
საწოლებიც გამოიტანეთ –
ჭრელი ბუმბულის ბალიშებით.
ბალიშებს სიზმრის ნარჩენები მოაყოლეთ –
ჭორფლიანი კვერცხებით და ფრთებს შერჩენილი
ცის ნაგლეჯებით.

დაცალეთ ეს ტყე!
დაასწარით,
სანამ ხსენივით, ფისი გაუშრება,
სანამ დაჩეხილ შვილებს გამოიგლოვებს
და მათ გვამებს მდინარეებზე დააცურებს
ელდანაცემი ფრინველების ნატირალით.

დაცალეთ ეს ტყე!
წაართვით ხავსში გამოხვეული,
უკვე უძღური სულიც

და ჯადოსავით დაწვით ბუნარში,
რომ საბოლოოდ,
კვამლად და ფერფლად ამოუვიდეს!

დაასწარით!

... თქვენ არ იცით,
რა შურისძიება იციან ხეებმოკლულმა ტყეებმა:
მოვლენ ზურგიდან,
მოვლენ ჩუმად,
მოვლენ უხმოდ
და თქვენს სოფლებზე,
თქვენს ქალაქებზე,
თქვენს ეზოებზე,
თქვენს სახლებზე
თქვენს მაგივრად,
სამუდამოდ დასახლდებიან...

ქორწილი

ბევრი სტუმარი მოვიდა.
სახლი აჭრიალდა.
კედლიდან ჩარჩო ჩამოვარდა.
ჩარჩოდან სურათი გადმოვარდა,
სურათიდან – ვენური სკამი.
სკამიდან – კაცი.
სწრაფად წამოხტა.
წელში გაიმართა.
ულვაში აიწკიპა.
თეთრ ქალთან მივიდა.
ხელი სთხოვა.
წაიყვანა.
ვენურ სკამზე დაჯდა.
სკამი ფოტოში ჩადგა.
ფოტო ჩარჩოში ჩაჯდა.
ჩარჩო კედელზე დაეკიდა.

სტუმრები წავიდნენ.
ბაბუაჩემი ვენურ სკამზე ზის.
ბებიაჩემი გვერდით უდგას.
სახლი ცარიელია.

Emptying

Empty the forest of all furniture!
Take out all cupboards, chairs and tables...
Take out beds with colorful eider-down pillows.
And with pillows,
Take out remains of dreams
About speckled eggs and wisps of clouds left over wings.

Empty the forest!
Be the first!
Before its coloscrum tar dries up,
Before it mourns for its hacked up children
And floats their corpses down the river,
Accompanied by weeping of deeply shocked birds.

Empty the forest!
Remove its already feeble soul wrapped up in moss
And burn it as a voodoo in a fireplace;
And finally, the forest will die
And only smoke and ashes will remain!

Be the first!
... You have no idea about
How merciless is an act of revenge:
Forests with killed trees will come up from behind,
They will come up silently,
Without uttering a word.
And they will forever settle down
In your villages,
In your towns,
In your yards,
In your houses
Instead of you...

Translated by Piso Pirtskhalava

Wedding

lot of guests came.
The house got noisy.
From the wall fell a picture frame
from the picture frame a picture fell
From the picture – bend-wood chair.
From the chair – a man.
Got up quickly.
Bettered his position.
Flicked his beard.
Went to the white woman.
He proposed.
Took her with him
Sat on the bend-wood chair.
The chair got in the picture
The picture sat in the picture frame.
The picture frame got on the wall.

The guests went home.
My grandfather is sitting on a bend-wood chair.
My grandmother is standing next to him.
The house is empty.

Translated by Elisabeth Pirtskhalava



ნატო ინგოროხვა

Nato Ingorokhva

ნატო ინგოროყვა – პოეტი, მთარგმნელი, დაიბადა 1969 წელს. გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული: „და სახლობს ჩემში პოეტი ევა“ (2003 წელი), „ხმელები და ნედლები“ (2011 წელი, გამომცემლობა „დიოგენე“). „წონასწორობა“ (2013 წელი, გამომცემლობა „საუნჯე“). „ფაიფურის პოეზია“, 2013 წელი, გამომცემლობა „ინტელექტი“. ქართულად თარგმნა და 2005 წელს გამოსცა ავსტრიელი პოეტის, რაინერ მაირია რილკეს პოეზია. ნატო ინგოროყვას პოეზია თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ, რუსულ, ლიტვურ, ბელორუსულ და უკრაინულ ენებზე. იბეჭდება სხვადასხვა ლიტერატურულ პერიოდიკაში. მუშაობს ჟურნალ „მასწავლებლის“ და ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“ მთავარ რედაქტორად.

Nato Ingorokhva – poet, born in 1969, translator, author of four books of selected poetry: „*And a Poetess Eve Dwells in Me*“ (2003); „*Dries and Freshes*“ (2011); „*The Equilibrium*“ (2014); „*The Porcelain*“ (2015). Nato Ingorokhva translated into Georgian the selected poems of Rainer Maria Rilke (the book was published in 2005). Her poems are translated into Russian, Belarusian, Ukrainian, Lithuanian, German and English languages. Nato Ingorokhva is an Editor in Chief of the journal „*Mastsavlebeli*“ and the online newspaper „mastsavlebeli.ge“.

Personal web page: www.natoingorokva.com

იავნანა დედისათვის

გაიხადე და ჩამაცვი შენი სხეული, –
მე ჩემი ლექსის კაბით შევმოსავ მას.
ჰო, გაიხადე და ჩამაცვი შენი სხეული,
თორემ ისე მძიმეა, ისე მძიმე, ეს სიცარიელე,
არა მგონია, კიდევ ცხრა თვე ვზიდო.
გაიხადე და ჩამაცვი შენი სხეული, –
შენ ხომ ყველაზე კარგად იცი, როგორ მომარგო
და დილის ყავის არომატივით,
ქალობის ნელსურნელებით დამიტკბო.
გაიხადე და ჩამაცვი შენი სხეული
და მე გეტყვი პასუხს ყველა კითხვაზე,
რომლებზეც შენ სიჩუმითა და
უხერხული დუმლით მპასუხობდი.
მე ხომ ვიცნობ შენი მორჩილების რეფლექსებს.
დარღვეულია დიდი სიმშვიდე და
ყველა შუაზე გახლეჩილი სხეული როდი ხვდება
ერთიმეორეს.
მერცხლებს, თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებულებს,
ჩვენი სახლის ჯარჯვალზე რომ დაიდეს ბინა,
კარს ხომ დღითა და ღამით ღიას უტოვებ,
ბუდეში კვერცხები რომ არ დაუცივდეთ
და ბარტყები დააფრთიანონ.
იცი, როგორი სიმშვიდე მენატრება?
ბავშვობაში ჩემს გაოცებას,
თოვლის ფანტელების სიმრავლით გამოწვეულს,

რომ შემოაგებე და მითხარი: ნუ გეშინია,
მიწა დაიტევს.

მას შემდეგ მიწამ იძღვინა რამ დაიტია,
მეშინია, გაოცება არ მომიკვდეს.

იცი, სიკვდილზე ფიქრი გადავაფიქრებინე მამას,
ვუთხარი: შენ მერე ჩემი რიგია და
ნუ ჩამაყენებ ამ რიგში, მამა.

დამიჯერა და დამყვა.

ჰო, გაიხადე და ჩამაცვი შენი სხეული,
ჩემი დამეების სიზმრებს გაგიმხელ.

სხვა ცხოვრებაშიც მოვდივარ ქალად
და ვაჩენ შვილებს, ჩემს გაგრძელებებს,
რომ არ დავმთავრდე და დავასახლო მთელი
სოფელი.

გაიხადე და ჩამაცვი შენი სხეული,
თორემ ახლა

ის უხერხული ღიმილი მე მეყინება ტუჩთან
სიჩუმედ

და ჩემი სიზმრის შვილებისთვის არ მაქვს პასუხი:
დეე, ძნელია დედობა?..

ქალებს (ხმელთბიდან)

*საქინე მოჰამადი – ქართულად „მარიტას“ ნიშნავს.
სიყვარულისთვის სიკვდილით დაისაჯა.*

ღმერთო
მოწყალეკ და მწყალობელო,
ნუ მიწყენ,
ლოცვა შეგიბრუნე:

შერისხულს –
მადლი უწყალობე,
გზასამცდარს –
გზაზე შეუდექი.

ქვებს რახანია მიგროვებენ,
ორმო გაითხარა – ჩემი ნებით.

ღმერთო
მოწყალეკ და მწყალობელო,

ჩემი ამბავი
ჩვენი ანბანივით უკუღმა დაიწერა,
წაღმა არავინ წამიკითხავს.

არც შენ ღმერთო,

მერე რა,
ქვა რომ თოკით შემიცვალე,
ბედისწერა ვერ შეცვალე.

გხედავ და გამხელ:

ყოველთვის
როცა იმას ჩავიდნით,
რაც შენ არ გინდა,

დგები პროფილში
და ხელებს იბან.

Undress Yourself and Dress Me in Your Body

Undress yourself and dress me in your body,
and I will adorn it with the dress of my poem.
Yes, take it off and dress me in your body,
Because this emptiness is heavy, so very heavy
and I don't think I can bear it for nine more months.
Undress yourself and dress me in your body –
you know best how to make it suit me,
how to infuse it with the scent of womanly perfume -
like the pervasive smell of coffee in the morning.
Take it off and dress me in your body
and I will answer all those questions
you answered me with awkwardness and silence –
after all, I'm no stranger to your ways.
Peace is shattered. Not all the disassembled bodies can
be mended.

Day and night you leave the shutters open
so the swallows returning from the south
whose nest is in our attic
won't let their eggs go cold,
will teach their chicks to fly.
Do you know the kind of peace I long for?

As a child, surprised by endless snowflakes,
you welcomed them and said,
„Don't worry - the world can hold them all“.
Now, I worry I will never be surprised again....
You know, I made my father never think of dying;
I told him, „Once you go, it will be my turn next“
and I asked him not to add me to the queue.
It worked....
So, undress yourself and dress me in your body
and I'll reveal my dreams to you:
I am reborn as a woman again
and, in bearing children, I continue –
I never end, I populate the world.
Undress yourself and dress me in your body
or watch this awkward smile freeze on my lips like
silence.
Then I won't have an answer for the children in my
dreams:
„Mummy, is it hard to be a mother?“

Translated by Natalia Bukia-Peters

To the Woman

Sakineh Mohamad, Sentenced to Death for Love.

Lord,
benevolent and kind,
I mean no offence,
and offer you a prayer:

Please, bless those who are
condemned,
please, help all those
led astray.

For a long time, the stones for me have been gathered,
the hole has been dug-with my permission.

Lord,
benevolent and kind,
my story is written
back to front like our alphabet,
not read in a straight line.

Nor will you, my Lord,

and then even if
you could change a loop with stone,
you'll never change my fate.

I see and unmask you:

Every single time
we do this thing
you find fault,

you stand off to one side
and wash your hands.

Translated by Ani Kopaliani



ია სულაბერიძე

Ia Sulaberidze

ია სულაბერიძე – პოეტი, დაიბადა 1968 წელს. პროფესიით ექიმი. არის ხუთი პოეტური კრებულის ავტორი – „40 ლექსი“ (1991წ, გამომცემლობა „მერანი“), „მეორე წიგნი“ (2001წ, მურმან ლებანიძის გამომცემლობა „ჩანგი“), „მე არ ვარ ევა“ (2006წ, გამომცემლობა „მერანი“), „თავიდან ბოლომდე“ (2011წ, გამომცემლობა „ბაკმი“), „სიბრძნე სიურჩისა“ (2014წ, გამომცემლობა „ბაკმი“). არის ლადო ასათიანის სახელობის პრემიის ლაურეატი. იტალიაში მიენიჭა ქალაქ ტივოლის ლიტერატურული კონკურსის პრემია „ახალგაზრდა ევროპა“. ლექსები თარგმნილი და გამოცემულია იტალიურ და რუსულ ენებზე.

Ia Sulaberidze – poet and a doctor, born in 1968. Ia Sulaberidze is an author of five books of poetry and a winner of Lado Asatiani national prize, and the grand prize of the Italian poetry contest „*Premio Tivoli Europa Giovani*“. Her works are published and translated into Russian and Italian languages.

ავტოპორტრეტის მაგიერ

მიყვარს ყვაილი და მიყვარს ღენთი
და არ მივტირი ღროის მანქანებს,
რადგან, თუ მომკლავს სიკვდილი ერთი,
მეორე – თითოსაც ვერ დამაკარებს.

არ დადგა ჩემგან შეშვთალი ნუკრი,
არც – სიყვარულის მშვიდი მსახური
და არ მადარდებს, ამქვეყნად თუკი
მოვედი გონჯი და უსახური.

მოხარული ვარ, რომ გრიგალისგან
ზურგით არასდროს შევტრიალდები,
მოხარული ვარ, რომ დედამიწას
თავქარიანიც ვეპრიანები,

რომ ცისქვეშეთში სულ ხიფათს ვეძებ,
რომ ბედისწერას არ ვეზუმრები,
რომ პოეზიის ციცაბო კლდეზე
უნდა ამოვჭრა საფეხურები...

ლომი

ჩემი საფარი შენ ხარ კედელი,
მე კი, რა გითხრა, ისიც არ ვიცი...
მე შენი ფიცხი ვარ მუშკეტერი
და არა – შენი დიასახლისი.

არ მიყვარს სრბოლა – ქარს მინდობილი
და არც – ღუელი, გადადებული,
არ არის ბედი ჩემი დობილი –
ლომის თვეში ვარ დაბადებული.

ემოციები ისე მმართავენ,
როგორც წყნარ ზღვაში ხომალდს – მესაჭე,
არ იქნებოდა ღმერთი მართალი,
მშვიდი ბუნებით რომ დავესაჯე...

გჭირდება, როგორც ოთანს – კედელი,
გჭირდება, როგორც გუთანს – სახნისი,
მე კი ქალი ვარ და მუშკეტერი
და არა – შენი დიასახლისი...

In Lieu Of a Self-Portrait

I never cry for machines of time,
But I love gunpowder and wine.
For if I'm killed just by one death.
The other won't touch a hair of mine.

I'll never be a startled roe,
Nor an obedient slave of love.
And I don't care if I'm born
The plain, unsightly and ugly one.

I'm glad storms never frighten me,
The storms so wrathful and so mighty.
I think my stars that mother-earth
Loves me – so giddy and so flighty.

I never cease to seek for threats,
And at my fate I never mock
I'm glad I have to carve my prints
On poetry's steep and craggy rock.

The Lion

You're my hope, my shield and wall,
But for myself I find no name:
I'm your musketeer, that's all,
And not your charitable dame.

I loathe the race ruled by the blow,
I hate the duel adjourned till dark,
Fate isn't a sister of my own,
I'm born under the lion's mark.

The seaman has to steer his ship
By feelings steered myself I find,
What luck God hasn't punished me
By odious calm and peace of mind.

You need me as a room – a wall,
You need me as a thing – its name,
I'm your musketeer, that's all,
And not your charitable dame...

Translated by Asmat Lekiasvili



მაია სარიშვილი

Maya Sarishvili

მაია სარიშვილი – პოეტი, დაიბადა 1968 წლის 29 დეკემბერს. იბეჭდება 1990 წლიდან. გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული: „ცხადის გადაფარვა“ (2001) და „მიკროსკოპი“ (2007). მისი ოთხი რადიოპიესა დადგმულია საზოგადოებრივ რადიოარხზე. რადიოპიესამ „სამი ვედრო თოვლი“ 1997 წელს ქართულ-გერმანულ რადიოპიესების კონკურსზე გაიმარჯვა. პრემია „საბას“ 2008 წლის ლაურეატია წლის საუკეთესო პოეტური კრებულის ნომინაციაში. მონაწილეა პოეტური ფესტივალების: Poetry International (როტერდამი, 2007), SOTZIAA (ტალინი, 2008), Poetry Parnassus (ლონდონი, 2011), და მიწვეული იყო პორტუგალიაში მთარგმნელობით სემინარზე, სადაც მისი ლექსები პორტუგალიურ ენაზე ითარგმნა (კაზა დე მატეუში, 2007). მისი ნაწარმოებები თარგმნილია 13 ენაზე.

Maya Sarishvili – poet, born in 1968 in Tbilisi, published since 1990, author of poetry collections „*Covering reality*“ (2001) and „*Microscope*“ (2007). Four Radio-plays of Maya Sarishvili were performed at Georgian Radio Broadcast. In 1997 at the Georgian-German competition of radio-plays she was awarded the first prize for her radio-play called „*Three buckets of snow*“. In 2008 she won the Saba Prize for Poetry. Maya Sarishvili participated in various international poetry festivals including: Rotterdam, Netherlands, 2007, SOTZIA, Tallinn, Estonia, 2008, Poetry Parnassus - London, UK, 2012, and was invited to Portugal to the seminar of translators, where her poems were translated into Portuguese - Casa de Mateus, 2007. Maya Sarishvili's poems are translated into 13 languages.

ლონდონის ფესტივალის 203 პროექტი

ჯერ ჩვენს საკუთარ სამშობლოებში ვართ.
ჩანთებში ვაწყობთ ტანსაცმელებს, კბილის ჯაგრისებს,
წამლებს და ლექსებს.
პასპორტში ვიზა – რომ სანდონი ვართ,
რომ გავიშვებით სამშობლოს გარეთ.
საზღვარზე არვინ შეგვიმოწმებს სევდას და წუხილს.
და ჩაირთვება სიგნალი, თუ გასაღები ჩაგვრჩა ჯიბეში,
ან ქაშის მოხსნა თუ დაგვაფიწყდა,
მაგრამ არაფრით დაიწრიპინებს ლექსების გამო,
კანით რომ გაგვაქვს საზღვარს გარეთ
და სახიფათო რომაა და ფეთქებადი, დამანგრეველი.
მე რომ შეიღები მომენატრება,
არც ეს ჩართავს იმ სულელ სიგნალს.
და ოთხი ბავშვი უპრობლემოდ გადაკვეთს საზღვარს,
რადგან ფოტო უსაფრთხოა – ამით რომ ჰკითხო.
და ნამდვილი
და მოსამხამე თვალები რომ აქვთ ფოტოებზე,
ამას არავინ შეამოწმებს.
რა სიცივეა აეროპორტში.
მოსასხამები იქონიეთ.
აი, ნახავთ, რომ არც კანკალის,
და არც შიშის,
და არც ცრემლების გამო რომ არ ჩაირთვება
სიგნალიზაცია.
რა სიცივეა აეროპორტში.
მოსასხამები იქონიეთ.

პლასტმასების ღიმილებით მიგვერეკებიან,
უგულოდ გვსხამენ თვითმფრინავებში
და არავის ენაღვლება რა აგვაქვს ცაში.
ბარგს წონიან და სხვა რამ არავის აინტერესებს.
მე რომ მეტყოდნენ, არ შეიძლება
ამდენი ტკივილის ცაში ატანა,
რამე მიწაზე დატოვეო,
არ ვიცი რომელს შეველეოდი
და გამოებრუნდებოდი უკან, ჩემს შვილებთან,
რომლებიც ჩაძინებულები დავტოვე სახლში გამთენიისას
და ისევ ჩაძინებულებს მივუსწრებდი.
„არ წასულხარ, დედა?“ – გაუკვირდებოდათ მათ.
მე კი, სახლს, რომელსაც იშვიათად ვალაგებ,
გასაოცრად დავალაგებდი,
მერე ოთხ ჭიქას ავიღებდი,
მათ საყვარელ ცივ რძეს დავუსხამდი
და წაიკითხავდით ლონდონში ლექსებს 203-ნი,
204-ე გადაქანცული,
ერთი საშუალო პოეტის გარდა.
და მე რძიანი ჭიქების რეცხვის დროსაც კი,
ყველა ეგ ლექსი მომაკითხავდა,
რადგან მთელი სამყაროს პოეტები
(საშუალოებიც)
რალაც მესამე მკლავებით ვართ ერთმანეთში
ჩაკვანძულები
და შორიდანაც ვეწიწკნებით ხოლმე ერთმანეთს...

* * *

ასე იპარება შენგან მეგობარი —
სახე უგრძელდება მდინარესავით,
კარგავს ნაკვთებს,
აღარ იცი, სად ჩასძახო რამე...
ხვალე მოვალო.
სამ ბავშვს სასწრაფოდ ლექსებით ამოჩურთავ
და სტუმართან მოქცევის წესებით.
სიმღერებით მოუმიანანქრებ დამჯერე ენებს.
ესენი ხვალ არ შეგარცხვენენ.
მხოლოდ მეოთხეს ახველებს ისტერიულად.
მისი ყელი ვერ ხვდება, რა საჭიროა
ხავერდის ეს უნიჭო ისტერია
და საზარელ ბგერებს ისვრის და გაცოფებს.
თურმე ვერასდროს დაიბრუნებ მეგობარს,
რომლის კისერზეც,
თავის ნაცვლად გრძელი მდინარეა გაწოლილი.
მთელი დღე ელოდი და არ მოვიდა.
კიდევ კარგი,
თორემ ან კარებში როგორ შემოატევიდი,
ან გამარჯობას როგორ ეტყოდი,
როცა სახე არ იცი სადა აქვს,
რომ ჩახედო...

To 203 Poets

We all are still in our own homelands,
Packing clothes, tooth brushes,
pills and poems,
visas in our passports say that we meet all requirements
to travel out of our countries.

At the border no one checks our sorrows or sufferings
and only a key in our pockets or
a belt that we forgot to take off
will set the security alarm off.

The poems that we take with our skins though
the border
and are dangerous, combustible, devastating,
will never be detected.

Neither will that silly security detector sense that
I miss my children,
and all four kids cross the border with no problem
for a photo is allowed here
and no one will screen it for
their real, blinking eyes.

It's so cold at the airport,
have your jackets with you.
Walk through the security archway quietly,
you will see yourselves that
detector cannot sense tears
or fear
or tremble.

It's so cold at the airport,
have your jackets with you-

with their fixed smiles
they herd us onto the planes,
who worries what we take into the sky!
All they do is weigh luggage and for the rest
no one cares.
If someone told me that I am not allowed
to take so many painful thoughts up into the sky and
have to leave some on the earth
how would I decide which to sacrifice.
And I would return home to my children.
I left them in bed at dawn and
they would still be sleeping.
„Have you not left, mum?“ they’d ask in surprise.
I would tidy up my home,
usually I do it very seldom,
yet this time I’d make it shine,
And afterwards, I’d take four glasses and
pour their favorite cold milk
while in London you, all 203 would read your poems
without the 204th, exhausted, ordinary poet,
And as I wash up four milky glasses
All your poems would visit me
for the poets all around the world
including even the ordinary ones
are tied to each other with a kind of third arm
and get painfully pulled even from far away.

Translated by Dalila Gogia

[A friend disappears from you like this –]

A friend disappears from you like this –
her face grows as long as a river,
loses its features
until you no longer know how to speak to her face...
„I’ll come tomorrow,“ she says.
You quickly fill three children with poems
and the proper behavior for guests.
You enamel their believing tongues with songs.
They won’t embarrass you tomorrow.
Only the fourth one coughs hysterically.
His throat can’t understand the need
for this clumsy, anxious quiet
and spits out horrific sounds that drive you crazy.
It’s as if you’ll never be able to get your friend back,
when instead of a head,
a large river swells on her neck.
You wait an entire day and she doesn’t come.
It’s probably okay,
or how else would you have fit her through the doors,
or have said „Hello“ to her,
when you have no idea know where her face is,
or how to look at her.

Translated by Tim Kercher



მანონ ბულისკერია

Manon Buliskeria

მანონ ბულისკერია – პოეტი, მხატვარი, დაიბადა 1972 წელს, აფხაზეთში. 1996 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (ქართული ენა და ლიტერატურა). გამოცემული აქვს ოთხი წიგნი – „მე გეტყვი...“ (1999 წ.), „ცხელი მარტოობის თვე“ (2002 წ.), „კედლების გემო“ (2006 წ.) და „ნედლი ნამხრევი“ (2013 წ.). წიგნისათვის „ნედლი ნამხრევი“ 2013 წელს მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდება ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. ამჟამად მუშაობს აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებით კავშირში თავმჯდომარის მოადგილედ.

Manon Buliskeria – poet, artist, born in 1972, author of four poetry books: „I will tell you“ (1999), „Hot month of loneliness“ (2002), „Taste of walls“ (2006), „Soft Hayrick“ (2013. For this book she was awarded Giorgi Shervashidze State Prize for poetry. Manon Buliskeria is a Deputy Chairman of the Writers and Artists Union of Abkhazia.

„მზე გულუხვია, ის, ალბათ, შენ ხარ!“
უიტმენი

salut...

.....

როგორი სიმარტოვე ააგიზგიზე.
მხოლოდ წყალობა არის, ახლა, შენი ნათელი.
ხომ შემიძლია, უარი ვთქვა,
მიწის სიღბო ვაგრძნობინო ხელებს და სახეს,
მერე უარგყო,
გულისტკივილში იმედად არ ამოგიყვანო.
ხომ შემიძლია...

.....

მე შენ მჭირდები
(ეს სიტყვები მხოლოდ ასე უნდა გამოთქვა).
ამოდი და დილა მახარე.
დამაყოვნე ღია სარკმელთან.
ჩამოდი ისე, უფრო ამაღლდე და
კეთილი იყოს შენი მობრძანება მიწაზე!

.....

სისხლი გრძნობს სავსე სიახლოვეს ყველაზე კარგად.
თვალეებს ვენდობი – ღამის ცაზე სევდად ანათებ.
სხეული მთვარეს უფრო გუობს და ამოდიხარ,
შენი ნათელი ხრიოკ სულში რომ დაავანო.
გამჭვირვალე სევდის ცისფერში შუქად ჩამდგარმა
მიწის სიმძიმე დამაძლევინე, მაგრამ...
განა მარტო ამისათვის მიყვარხარ, მზეო?!

* * *

უკეთესად ვერავინ გეტყვის –
უნდა მიხვდე და მომისმინო.
ვინ გიხმო, ვისმა მონატრებამ მოგიყვანა,
მე ხომ არ ვიცი,
მაგრამ მოხვედი,
როგორც ადრე ბევრი მოსულა
და ისე დარჩი, როგორც არავინ!
შენს თვალებში ლურჯი ფერია
და რას დამალავ,
დედამიწის მკვიდრი ხარ... ჯერაც
არ დაგიხურავს მარტოობა
გადაშლილი მუდამ,
როგორც ცა და ბიბლია.
და გახსოვს ყველა სასწაული,
რაც ნახე თუ ამოიკითხე!
ვინ გედავება?
მათ ოკეანე მხოლოდ გლობუსზე თუ უნახავთ
და მზის დისკო – უსაშველოდ მაღლა...
უთხარი –
ქვეყანაზე ჩვენსგარეშე არაფერია
და ვიძირებით ფრთიან მზერაში.
ღმერთი სად არი?
რას გედავება,
ვისაც სისხლი არასოდეს აჯანყებია
და ვის მაჯაზე
მეწამული შადრევანი არ ამოჭრილა?!

„Sun so generous, it shall be you!“

Whitman

salut...

.....

You have inflamed such loneliness.
The only mercy for me right now
is your brightness.

I may
Refuse it, though...
Make my hands and face feel how soft the ground is,
I will deny you
After this...

I will not grow you
As a hope
in the middle of my heartfelt pain.
I may.....

.....

I need you
(the only way to pronounce these words).
Rise and tell me: look, morning glows.
Make me stay at open windows.

Come down, so that higher you stand, and
Be welcome to this land!

.....

Blood feels the best when you are near.
I trust the eyes – you shine so clear
on the night sky of my fear.

My body tolerates the moon better, though ...
I see you grow,
To rest your brightness
in my dry soul.

You are a ray of light
in my transparent blue sadness
You made me drink this land's heaviness:
Done!...
Is this all for what I love you Sun?!

* * *

No one else can tell you better –
You should guess, listen and hear.
Who called you? Do you miss somebody?
Who brings you here?

How do I know all that?
But you have come,
As many others used to come...
But you stayed! – while other run.

The blue color of your eyes
May not hide you live on the earth...
While...
You have not closed ever-opened loneliness,
Ever-opened as the Bible and the sky.

You do remember all the magic,
Which you ever saw or read!

Who is arguing with you?
Who has seen the ocean only on the globe?
And the disc of sun – so high in the sky?...
Say it –

There is nothing on this Earth
Without us...
And we sink in the wings of sight.

Where is God?
Who is arguing with you?
Whose blood has never rebelled in the past?
Or whose wrists have never seen
Red fountains' pass?!

Translated by Maya Kardava



ბელა ჩეკურიშვილი

Bela Chekurishvili

ბელა ჩეკურიშვილი – პოეტი, ჟურნალისტი, დაიბადა 1972 წელს, გურჯაანში. იგი ამჟამად არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით. სამი პოეტური კრებულის ავტორია: „ან.. ან“ (1998), „ღია ბარათები“ (2009), „შეკითხვად სიზიფეს“ (2012). მისი ლექსები შესულია სხვადასხვა ანთოლოგიებში, მათ შორის ქართველ პოეტთა გერმანულენოვან კრებულში „Aus der Ferne“ („შორიდან“), გამომცემლობა Corvinus Press. Berlin (2015). მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე

Bela Chekurishvili – poet, journalist, born in 1972, PHD of Comparative Literature at Tbilisi State University, author of three poetry collections: „*Either – Or*“ (1998), „*Postcards*“ (2009), and „*Sisyphus*“ Question“ (2012). Her lyrics are published in a Anthology of Georgian lyrics in German language „*Aus der Ferne*“ („From afar“). The main subject of her poetry is contemplation of a modern woman in a big urban environment.

Skype - intensive

[11/27/2010 10:37:43] bella says:

ყველაფერი გადმოვალაგე, გავშალე და ვათვალიერებ.

გადმოვცალე თაროები, კარადები, ყუთები, თავი ავხადე ყველა სკივრს და მცირე ზარდახშმას, ვეძებ, ვამოწმებ, ყოველ ძაფში, ყველა ქაღალდში, ლილში, ქსოვილში, ჯიბეებსა და ნაკეცებში, ხან თავვის სახელს ვახსენებ და ხანაც ჭიების, ვეშუქრები ეშმაკებს დაბმით...

ვეძებ გამოთქმებს, სიტყვებს, სახელებს, თუნდაც ორი-ოდ მარცვალი იყოს, რაც გამახსენებს, რომ ვიყავი შენი ეზოს ცნობისმოყვარე ფიჭვი, ტოტით ვწვდებოდი ფანჯრის მინას, გიკაკუნებდი და გარწმუნებდი, გამო-ზამთრება აქ, ამ რაფაზეც შემიძლია, თუ საშობაოდ ზანზალაკებით მომრთავ-მეთქი.

მაინც სად უნდა გამქრალიყო, მახსოვს, ფერებიც მკვე-
თრი ჰქონდა, სუნიც ისეთი, თითქოს თაფლი მოჟონავდა
უჯრედებიდან და შეხების სურვილისგან ათი ათას
ჭიანჭველად ვიხორკლებოდი.

იქნებ კანი შემოეცალა, ან იქნებ გახმა და ჩამოიფხვნა,
მტვრად გაიშალა, თორემ ასე უკვალოდ, მარილიც კი
არ ქრება ხოლმე თევზის ქერცლიდან...

[11/27/2010 10:38:06] Sisyphus says:

ფანჯრის დაკეტვას ვაპირებ ახლა, უკვე იწვიმა,
და ამ ბადესაც ჩამოვხსნი მინას, მწერები გაქრნენ,
ზამთარს კი ისევ გავატარებ ალბათ ზღვის პირას,
ვილაში, ანდა იახტაზე, ხომ იცი, აქვე,
მომინახავენ მეგობრები წესიერ მღვმურებს,
თავის დროზე რომ გადაყრიან ნაგავს და ქურას
არ დატოვებენ ანთებულს და გადახდის ქვითრებს
შეინახავენ. გარწმუნებ, რომ ვიქნები სრულად
დამშვიდებული, თუ იპოვი, მომწერე მერე.
ფიჭვზე კი, ალბათ, ვერ რას გეტყვი, ბოდიში,
ვწუხვარ...

„პოეტები ნაბიჯებს არ ითვლიან“...

ისინი ითვლიან სტრიქონებს და სიტყვებს სტრიქონებში და მარცვლებს სიტყვებში. ითვლიან, სად შეჩერდნენ, შეისვენონ, სული მოითქვან, დაიჩვილონ, ამოიკვნესონ, გაორმაგდნენ, სახე იცვალონ,

ითვლიან და ზომავენ, როგორც ანტიკური ზუროთმოძღვრები, შუა საუკუნეთა ალქიმიკოსები, ებრაელი მევახშეები, მეიდნელი ჩარჩები, სადაზღვევო კომპანიის ოფიცრები, თერძები.

ისინი ითვლიან ემოციებს, ვნებებს, ქარიზმებს, თვითმკვლევობებს, მეგობრებს, კახკებს, მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ადამიანებს, ქუჩის დღეებს, სახლის ღამეებს,

ითვლიან და ზომავენ როგორც კენჭებს,

რიყის ქვებს, ნათალ ლოდებს, მარმარილოს, გრანიტს, აგურებს, რომ მერე ზუსტად მოარგონ და ამოაშენონ თავშესაფრები, ტაძრები და სიმაგრეები გასაქცევად, დასახუჭად, დასამალად, სააღმსარებლოდ...

მერე კი, ზოგჯერ, ისე ხდება, ეს ტაძრები, სახლები და სიმაგრეები სხვებისთვისაც თავშესაფრად იქცევა ხოლმე და მაშინ უკვე აღარავის ახსენდება, საშენ მასალად ვინ (რომ) გამოიყენეს, დაჭრეს, გარანდეს, გათალეს თუ ჩაადულაბეს...

– სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ ყველაფრის განმარტებად წერია:

SKYPE INTENSIVE

[11/27/2010 10:37:43] **bella says:**

I've put everything out; I've spread everything in front of me, and now
I am looking through it.

I've emptied shelves, cupboards, boxes, opened all the chests, and small caskets ,
I'm searching, checking over all the threads, papers, buttons, cloth, pockets and folds; here I mention a mouse, and there bugs, I'm threatening devils with tying them up.

I am looking for expressions, words, names, at least for a couple of them that might remind me that in your yard I used to be a curious pine tree, able to reach your window with the branch, knocking and ensuring you that I could manage to pass the winter there, on the windowsill, if for Christmas you'd only decorated me with tiny bells.

I cannot understand where it's disappeared, I clearly remember bright colors, and the flavor - as if honey percolated through the cells and from the desire to touch I could feel thousand of ants crawling over me.

Perhaps the skin peeled off it, maybe it dried up, crumbled and spread to dust; or even salt never disappears from the scales of the fish without any trace.

[11/27/2010 10:38:06] Sisyphus says:

I'm going to shut the window. It's already rained,
And I'll take the net from it, insects have disappeared.
I guess, I'll spend the winter at the seaside again,
At the villa, or on the yacht, you know, here,
My friends will find for me some nice lodgers
Who are never late to throw away garbage and
Turn off the stove, and keep all the receipts.
Be sure, I'll be completely calm,
Write me as soon as you find time.
As for the pine tree, I don't think I can help-
My apologies.

„Poets Never Count Their Steps“ ...

They count lines and words in lines and syllables in words.
They count where to stop, rest, take a breath, complain,
groan, change.

They count and measure like ancient architects, medieval
alchemists, Jewish usuries, Meidani dealers,
insurance agents, tailors.

They count emotions, passions, charismas, suicides,
friends, prostitutes, important or unimportant people,

street days, house nights.

They count and measure them as if they were pebbles, cob-
blestones, carved boulders, marble, granite,
bricks, so that to exactly fit them in to build shelters,
temples, castles, there to run away, to hide, to confess.

But sometimes their houses, temples, castles turn out to be
a shelter for others as well, and then nobody
remembers that he himself has been used as a building
material, has been cut, planed, hewn, welded.

– Definition for all aforementioned, in a school
chrestomathy - a poem.

Transated by Dalila Gogia



ირმა შიოლაშვილი

Irma Shiolashvili

ირმა შიოლაშვილი – პოეტი, ჟურნალისტი, დაიბადა 1974 წელს, დედოფლისწყაროში. არის 6 პოეტური კრებულის ავტორი. 1993-1998 წლებში საქართველოს საზოგადოებრივ არხზე მიჰყავდა გადაცემები თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, 2002-2004 წლებში იყო დილის საინფორმაციო-პროგრამა „ალიონის“ სპეციალური კორესპონდენტი გერმანიაში. 1999 წლიდან ცხოვრობს გერმანიაში და ქ. ბონის რეგიონალური რადიოს ეთერში უძღვება გადაცემებს საქართველოზე. ეწევა ასევე პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული და გერმანული პოლიტიკური ლირიკა“. მისი ლექსები შესულია არა ერთ გერმანულენოვან ანთოლოგიაში და თანამედროვე გერმანულ ლიტერატურულ გამოცემებში. ლექსები თარგმნილი და წიგნად გამოცემულია ასევე რუსულ და გერმანულ ენებზე. 2007 წლიდან არის ევროპელ ავტორთა გაერთიანება „Die Kogge“-ს წევრი.

Irma Shiolashvili – poet, journalist, born in 1974. Irma has been writing poems from early childhood. In 1991-1996 worked for the National Georgian Television, the department of culture and produces TV programs on contemporary Georgian writers. In 1999 she studied at the University of Bonn and maintained a thesis for PHD on German and Georgian Political Postwar Poetry in 2005. Her first book „*Non-existing Word*“ was published in 1992. Since 1995 she is a members of the Georgian Writers' Union. In 2007 she was admitted to the European Writers' Association „*The Cog*“. Irma Shiolashvili is an author of the following poetry books: „*The Blue Bow*“ (1996), „*Trace of Tears*“ (2002), „*A Bridge of colourful Leaves*“ (2009), „*Monday*“ (2013). In 2012 her book „*A Bridge of colourful leaves*“ was published in Germany (Pop Publishing House Ludwigsburg/Germany, Kaukasische Bibliothek, Volume 3). Her poems have been translated into Russian, English and French too. Irma Shiolashvili lives in Bonn. Works as a journalist and a lecturer.

ლურჯი

ლურჯები იყო მოღაში.
ვწერდი ლურჯ სინამდვილეზე,
ვიცმევდი ლურჯ კაბებს და
ლურჯად ვუყურებდი სამყაროს,
რომელსაც
ცისფერი მოსწყინდა
და მოღად სილურჯე –
ბებერი ცისფერი –
შემოდო ფანჯრის და
სიცოცხლის რაფაზე.
სილურჯეს ვიცმევდი.
კაბებს ვყიდულობდი „სეკენდჰენდ“-ში,
ან სარდაფიდან ამომქონდა ძველი,
დამტვერილი
ჯინსები და პიჯაკები
და მზეზე ვფენდი –
ხელისგულზე არ მეტეოდა.
ლურჯები იყო მოღაში.
გიგზავნიდი ყოველ დღით ლურჯ გამარჯობას,
საგანგებოდ ნაყიდ ლურჯ ფინჯანს
ვაკვებდი ცხელი, თუხთუხა ყავით
და ყავაში ვყრიდი შაქარს
ხელით, რომელზეც
მანიკური ლურჯად ყვაოდა.

მოღას ავყევი და ერთხელაც არ მიკითხავს
ამ ლურჯ ჩრდილებში
ასე საღად როგორ მხედავდი.

ქვის ნატეხი

დიდი გმირობაა, – გულმა შევინახოს,
როგორც მთაში ნისლეები ინახავენ ქვის ნატეხს,
გაახვევენ თავიანთ ლაბადაში და ავ თვალს
არ აჩვენებენ.

ზუსტად ასე მინდა, გულში გახვეული გადარჩე.
დიდი გმირობაა, გერქვას ჩემი უკანასკნელი
სიყვარული, –

ნაღმი ჩემს გულში –

ქვის ნატეხში შენახული ნაღმი,
შენახული გულტიალას ნისლიანებში.

დიდი გმირობაა,

თუ დამიგორდები გულის მთიდან, არაფერი
შევიმჩნეო,

მწყემსივით ვიდგე და მწყემსივით გადევნო თვალი,
რომ, უნებურად, უფსკრულისკენ არ გადაგორდე,

და ასე, გულში ჩაბრუნებული მზერით,
უფრო სწორად, მზერაზე გამობმული

საცეცებით ვცაღო

სისხლის გავლით, ძარღვების გავლით
დაგაბრუნო გულის მთაზე

და ხელახლა გაგახვიო ნისლის ნაბადში.

Blue

Once the blues were in fashion.
At the time, I used to write much about the blue truth.
I used to put on blue dresses,
Blue did I look at the world
That was getting bored with the color Light Blue.
This is why the world had laid aside old lady Light Blue
On the ledge of the window, at the edge of the world.

I put on the blues.
I bought my clothes second hand or fetched old dusty
jeans and blazers from the cellar.
And hung them all in the sun – because they did not
fit in my palm.

The blues were in fashion again.
Every morning, I sent you blue welcomes,
I filled a cup bought especially with hot bubbling coffee
And put sugar in it with fingers whose nail polish
blossomed blue.

I went with the fashion and never asked,
How, in these blue shades, you could see me so pristine.

Stone Splinter

Great is the hero's feat
If the heart were able to keep you
As the mists of the mountains keep the splinter of a stone,
Wrap it in the own mantle
To keep it away from evil eyes.
Like that, I want you to survive wrapped in my heart.
Great is the hero's feat
To be called my last love.
A mine in my heart,
A mine preserved in the splinter,
Preserved in the mists of my heart.
Great is the hero's feat
When you roll down the heart's mountain,
And I don't bat an eyelid,
Standing there like a shepherd,
And like a shepherd following you with my eyes,
Wary that you don't roll into the gorge abruptly.
And so, my sight turned inward,
Wading through veins and through blood,
I try to take you back to the heart's mountain
To wrap you in the mantle of mists once again.

Translated by Manana Matiashvili and Dana Weber



ლელა სამნიაშვილი

Lela Samniashvili

ლელა სამნიაშვილი – პოეტი, მთარგმნელი, დაიბადა 1977 წელს ქ. გორში. ლექსებს წერს და აქვეყნებს ადრეული ასაკიდან. დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტი. 2002-2004 წლებში ამერიკულ ლიტერატურას იკვლევდა ბერკლიში; 2007 წელს დაამთავრა ოსლოს უნივერსიტეტი, უმაღლესი განათლების ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხით. არის ხუთი პოეტური კრებულის და მრავალი თარგმანის ავტორი, სხვადასხვა ლიტერატურული პრემიების ნომინანტი და გამარჯვებული. ამჟამად ასწავლის ლიტერატურას და უმაღლესი განათლების პოლიტიკას.

Lela Samniashvili – poet, translator, born in 1977, made her first literary publications at a school age; graduated from the Tbilisi State University, department of West European Languages and Literature. In 2002-04 got scholarship for researching contemporary American Literature at UC Berkeley; in 2007 she got MPhil in Higher Education from Oslo University. Is an author of five collections of poems and a number of translations winning different national literary prizes. Currently she lives in Tbilisi and teaches literature and politics of Higher Education.

გორი. აგვისტო, 2008

ორი კვირა – ზურგზე მეკიდე –
ძეგლიანად – დედაქალაქის კორპუსებში ავთორევი –
ჩამოვთრევი, და ქუნა-ქუნა მემსხვერევი –
სახელდახელო თავშესაფრებში შეყუყულ ხალხად.
იოდით, ბამბით, ცელოფანში ჩაყრილი ჭრელი
კანფეტებით –
ბავშვებისათვის – მეჩვენებოდა – ზოგჯერ –
ლულების ღრმულებს ვკვებავდით.

არ მახსოვს, როგორ დაგიბრუნდი.
წიკწიკებდა შუბლში საათი –
ავტობუსი დაინაღმა ჩემი მსგავსებით –
თან მივყავდით, თან – გაგვიბოდა.
გზებზე – დამწვარი ფიჭვების სუნი –
მიწა – საკუთარ თავზე შავი –
რელიგიურ რიტუალს ჰკავდა
და ხრჩოლავდა ადგილის სული.

ჩამოვხსენით – ორი კვირა რომ გდარაჯობდნენ,
მის ძეგლზე გაკრულს – საუკუნე ვინც
სდარაჯობდათ,
ყველაფერს – გამქრალს, გადარჩენილს –
გორიჯვარი გადავაფარეთ,
საკუთარ თავებს დაუბრუნდით გამნალმველებად.

გასანაღმია ეს სიტყვებიც.
ახლა ლექსიც ისეთივე უხამსობაა,
როგორც ბავშვის სათამაშო –
შენს ნანგრევებში მსხვილი კადრით გადაღებული.

ჩეჩენი გოგოს ლექსი

ეს ჩემი სული ცეცხლთან არის შეწყვილებული –
შავმა ამიკრა ბაგე და სუნთქვა.

კლდის მიწაზე რომ დამითესეთ ნაღმის პურები,
უბეში მიღვეს და თითებით ვეფერები –
ჭაბუკი ქმრის მკვდარი მკერდივით.

არც წამწამი, არც ცრემლის წვეთი
არ მოწყდება რკინის გუგას. ჩემი ნაწნავი
დახვევია ალაჰის მაჯას. კლდის ნატეხი
მიღვეს უბეში და თითებით ვეფერები,
ჩემი შვილის მკვდარი შუბლივით.

მე ვარ მძევალი ამ მძევლების. მძევალი –
ტაშის ექოებით სავსე დარბაზის –

კლდის დარბაზებში
მომსკდარი ტყვიის ექოებით, ავი ზარით რომ იფარება.
უბეში მიღვეს სიძულვილი და თითებით ვეფერები,
როგორც ხსოვნას ჩემი მკვდარი სიყვარულისას.

მკვდარი სამშობლოს, მკვდარი ღმერთის,
მკვდარი ქალის კივილი – თქვენთვის სასურველი –
მკვდარია ჩემში; და ჩემი ტვირთიც –

თქვენს ტრამალში
თუ ჩაიმარხა, ალალი იყოს – ნაღმის პური,
კლდის ნატეხი, სიძულვილი – ამოცლილი ჩემი უბიდან.

The View of Gori, August, 2008

Throughout two weeks – I had you on my back –
weighty with your statue – I would drag
you up and down in blocks of flats
of capital. You went all into fragments
across the streets – into the minor pebbles,
into the people – sheltered randomly
around. I dragged you in the cellophanes –
for kids - the pills and cotton, melting gums
and candies – with the feeling as if I
fed trunks of tanks.

I don't remember what way I returned
to you, inside the forehead
the clock was knocking –
The yellow bus was mined
with people of my kind –
It drove us fast; it tried
to get away from us. And on the road –

The smell of burning pines –
The earth much blacker than the earth –
Was like religious ritual –
The spirit of the place – in smoke.

We took you off – being guarded for two weeks
while crucified on statue of the one –
who guarded them for century.
We covered everything what disappeared
and what remained untouched - with Gori - fortress,
We did return to ourselves as the deminers.

The words are also to be cleared of mines.
A poem is as cruel at this minute
As a teddy of a child –
Screened with the wide shot – among your ruins.

A Poem of a Chechen Girl

My soul is married to fire.
Black is a bandage to my lips and breath.
I'm keeping the bread near my heart – an explosive –
You sowed in my rocky earth, – stroking it with my fingers,
Like the dead breast of a young husband.


No eyelash, no teardrop
Will fall from the iron pupil. My braid
Is tied to the wrist of Allah. I'm keeping
A piece of rock near my heart, – stroking it with my fingers,
Like the forehead of my dead child.

I'm a hostage of my hostages. A hostage –
Of this hall full of the echoes of applause,
Melted into the muffled roars of the bullets,
The bells mourning all over the rocks.
I'm keeping hatred near my heart, stroking it with my fingers,
Like the memory of my dead love.

Dead motherland, dead God,
The scream of the dead woman – you long for,
Is dead in me. My burden is buried into your plains.
Keep for yourself my bread – explosive,
A piece of a rock, the hatred – taken out of my heart.

Translated by the author

ქართველი პოეტი ქალები
Georgian Female Poets





თეა თოფურია

Tea Topuria

თეა თოფურია – პოეტი, პროზაიკოსი, საბავშვო მწერალი, დაიბადა 1977 წელს, ქალაქ სოხუმში, საქართველო. 1988 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს რადიო თავისუფლების რეპორტიორად. არის ავტორი ხუთი წიგნისა: პოეტური კრებული „*ეკოციდი*“, პროზაული და პოეტური კრებული „*პიტნის კალო*“ და საბავშვო წიგნები: „*პარადის არდადეგები*“, „*გასაღვიძებელი ზღაპრები*“, „*ერთი გრძელი დღე სხვა პლანეტაზე*“.

თეა თოფურია არის ბევრი პრესტიჟული ლიტერატურული კონკურსის ლაურეატი: პენ-მარათონი 2007, ოქროს ბუმბული - 2008, წერო 2006 და 2010, გალა 2011-ის ასევე ნომინირებული ასტრიდ ლინდ გრენის საერთაშორისო პრემიაზე (2012 და 2015).

Tea Topuria – poet, born in 1977 in Sochumi (Georgia), prose writer, journalist. At present she works for radio Free Europe/ Radio Liberty, Tbilisi bureau. Tea is an author of the poetry collection „*Ecocide*“ (2011) and a number of acclaimed books of short stories for children, including „*The Holidays of Paradea*“ (2011) and „*Tales too Good to Sleep through*“ (2011); „*One Long Day on Another Planet*“ (2014). Tea Topuria is a winner of many prestigious literary competitions, among them the Pen Marathon in 2007, the Golden Feather in 2008, literary award Saba 2008, the Tsero prize in 2006 and 2010 as well as Gala Award in 2011. This year Tea Topuria was nominated from Georgia for Astrid Lindgren Memorial Award 2012 and 2015.

* * *

მთელი ხელოვნებაა ბონსაი,
აქციო დიდი პატარად,
ჩამოიყვანო სიყვარული მეგობრობამდე.
ჯერ ხელებს დააჭრი ძირში,
რომ ვერ მოგეფეროს,
მერე მოაწყურებ,
არ აყვავდეს გაზაფხულზე დიდი ყვავილებით.
წლები უნდა, თორემ ისე,
გამოცდილია,
უსათუოდ გახდება ჯუჯა.
გაკა დრო და
გექნება ბაღი ჯუჯა ხეების,
სადაც ბევრმა დაივიწყა,
ახლა კი მორიგი ნერგი ივიწყებს,
როგორი იყო აფრიკაში ბაობაბი,
დიდი ხე, დიდი სივრცის პირას,
იმის იქით სიცარიელე,
მორიგი ნერგი ივიწყებს ამას...
მერე კი,
როცა ბაღის თავზე აგვისტო მოვა,
როცა მოგშივდება, იმდენად
რომ წყალსაც შეჭამდი,
როცა მიხვდები,
რომ ბონსაის არა აქვს ხილი და ჩრდილი
შენ გაიხსენებ,
იმას, რასაც ის ივიწყებდა.

ჩინური ანდაზა

უნდა იჯდე ფანჯარასთან და მოთმინებით ელოდო,
როდის ჩამოატარებს მდინარე შენი მტრის გვამს.

ჩინური ანდაზა

პირველი გვამი ვერ ვიცანი,
სახე თევზებისგან ჰქონდა შეჭმული,
ტანსაცმელი შემოფლეთილი.

ვერც მეორე,
თუმცა ამას სახე უჩანდა.

მესამე გვამი კარგად მახსოვს,
არ მეგონა მტერი თუ იყო.

მეოთხე – ტალღამ გამოაგლო ნაპირზე
ჩემი დასამარხი გახდა.

კიდევ ერთი – ქვებს წამოედო,
სახეს დაეხედე, ვიდრე ისევ დინებას გავატანდი.
მისი გამოჩენა აქ ბევრს გაუხარდება...

მომდევნოს შორიდან მოვკარი თვალი
და პირდაპირ წყალში შევეგებე.
ჩავიხუტე, სანამ დაემარხავდი,
მერე დაემარხე
და მერე უკვე სულ ერთი იყო,
კიდევ ვის ჩამოატარებდა მდინარე.

გაზაფხულზე, წყალდიდობისას
ტალღებზე დავწექი და
მეც ჩამატარა.
სულ ვხედავდი, ვინ ძელოდა ჯებირთან, ხიდზე
ვინ ფანჯარასთან...

უზარმაზარ, მკვდრებით მოფენილ ნაპირზე
გამოვირიყე.

მზე მწველი იყო,
ოკეანე მშვიდი,
ყველგან ქვიშაში ამოგანგლული გვამები ვეყარეთ
და მახსოვს ვფიქრობდი,
აი, თურმე სად ყოფილხარ, ღმერთო,
სად ყოფილხარ, როცა ვტიროდი და ვწუწუნებდი,
როცა მეშინოდა, მიყვარდა და გეძებდი,
როცა წყალში ვიდექი სველი.
თურმე აქ იყავი, ამ ნაპირას
და ჩვენ ყველას მოთმინებით გველოდებოდი.

* * *

Bonsai is an art of transforming a big into the small,
diminishing love to friendship:

First cut off hands

so it won't pet you,

then stop watering it

so that it does not blossom in spring.

And then it will grow to be a dwarf

be assured,

it just takes years.

After some time

you will have a garden of dwarf trees,

where many trees have forgotten,

what a baobab was like in Africa,

a large tree at the edge of large expense.

Always another salping is forgetting.

And then,

when August comes in the garden,

and you become enough to eat ever water,

when you realize

that a Bonsai is fruitless, shadowless,

you will remember

what the salping has forgotten.

A Chinese proverb

You should sit at the window and wait patiently when
the river brings down the corpse of your enemy.

A Chinese proverb

I did not recognize the first corpse,
the face was spoiled by fishes,
clothes were torn to pieces.

Neither did I recognize the second one,
though I could see the face.

I remember the third one well,
I had not though he was an enemy.

The fourth one was swept ashore
and I had to bury him.

Another one was caught on rocks.
I looked at the face before giving returning him
to the current.

Many will be happy to see him here...

The next one – I saw from distance
and met in the river.
I embraced and then buried him
and then couldn't care
whom the river would bring next.

In spring, during the flood
I lay down on waves and
Went eith the current.
I saw those waiting for me at a dike, the bridge,
or at a window.

I was washed up an enormous shore covered
with the dead.

The sun was hot,
the ocean calm,
Bodies covered with sand were everywhere
and I remember I was thinking,
so this is where you were Lord,
this is where you were
when I was crying and grumbling,
when I was in love or frightened,
or looking for YOU,
when I was standing in the water.
You were here, on this shore
waiting for us patiently.

*Translated by
Timothy Kercher and Tamar bolkvadze*



ნატა ვარადა

Nata Varada

ნატა ვარადა (ვარადაშვილი) - პოეტი, პროზაიკოსი, დაიბადა 1987 წელს. 1996-2002 წლებში იყო გამომცემლობა „ნაკადულის“ რედაქტორი. 2002 წლიდან მუშაობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამომცემლო სამსახურში. 2010 წელს გამოიცა მისი პირველი პოეტური კრებული „ერთი საათით გვიან“, რომელიც „ალექსანრე ორბელიანის საზოგადოებამ“ დაბეჭდა. 2011 წელს წიგნი ლიტერატურულ კონკურს „საბას“ ნომინანტი გახდა. 2013 წელს გამოსცა მოთხრობების კრებული „დედის კერძი“.

Nata Varada (Varadashvili) – poet, born in 1978, poet, journalist. In 1996-2002 was an editor at the „*Nakaduli*“ publishing house. Since 2002 she has been working at the Legislative Gazette of the Ministry of Justice. In 2010 „*Alexander Orbeliani Society*“ published her first book of poetry, called „*One Hour Later*“. In 2011 she became the nominee of the national literary competition „*Saba*“.

თვითმკვლელთა გალობა

ჰეი, ტედ...

ეს მე ვარ შენი პატარა
გარეული გედი. კეთროვანი.
ისე სხვაგან ვარ და ისე ცალკე,
და ისე არვინ არ მეკარება,
შორი-ახლოს
ჩემი სიტყვები ცვივიან და იშლებიან
ათი ათასად, ჰო, არავინ მეპასუხება.
იჰ, არავინ მისწორებს ნიშნებს,
სასვენს, სასიცოცხლო ნიშნებს რომ გაგყვე,
ჩავეჭიდო. წამოვდგე ფეხზე.

ჰეი ტედ...

ეს მე ვარ. ჩემი ხმა კნუტის კნავილივით ნაზია
გესმის, ამ დილაბნელზე,
წამომხტარი ცივ საწოლიდან
დავბორიალობ. შევლას არ ველი
გაყინული პეიზაჟებიდან
მოდის დამდნარი სიძულვილი
ყველა გვერდს მივლის..

მშვიერი ძალდი,
სანაგვე ურნას ჩაყუდებული,
„ოლვეისების“ შემგროვებელი წვერიანი
კაც-საათი, კაცი ვამპირი.
მდინარეების წყალს კი
ხმები მოაქვს,
უცხოთა ხმები.. ვინც დინებას მიენდვნენ და დაფარეს
წყლებმა.

აქ,
ისე ცივა. წითლად რომ ბრდღვიალებენ,
ჩემ მსგავსების გულებისგან
გამოწურული, სისხლისგან მოდღაბნილი
საჰაერო ბუშტებია.

ჰეი, ტედ...
ყური გატყუებს.

არ შეგვიწყალებ, უფალო.

Hymns of Suicide

Soon, soon the flesh
The grave cave ate will be
At home on me
And
I a smiling woman.
I am only thirty.
And like the cat I have nine times to die.
(Sylvia Plath)

Hey, Ted!
It's me, your little
Wild swan. A leper.
I'm so elsewhere and so separately
And so nobody comes closer.
Nearby
My words fall and pull apart
Into thousand pieces. Yes, nobody answers me,
Yes, nobody corrects my signs
Of punctuation, signs of life that I could follow them,
Clutch them, get my feet on the ground.

Hey, Ted!
It's me. My voice is as gentle as a kitten's whimper
Can't you hear me, jumped up
In this daybreak from my chilling bed
I walk around absently. I don't ask
To help to those frozen landscapes
A melted hostility comes up
And everybody avoids me:
A starving dog
Propped into a dustbin
A bearded man-clock, male vampire
That gathers second-hand tampaxes.
And the river torrents
bring the sounds of
the strange people, that once entrusted the streams and
were covered
by the river.

It so cold
Here. And there are the balloons
Scrawled with the blood of the
People of my kind
That glow in red.

Hey, Ted!
Your ear cheats you!

You didn't mercy us, my lord!

Translated by Ani Kopaliani



კატო ჯავახიშვილი

Kato Djavakhishvili

კატო ჯავახიშვილი – პოეტი, პუბლიცისტი, დაიბადა 1979 წლის 3 მაისს – ქალაქ თბილისში. ხუთი პოეტური კრებულის („შენიდან ჩემამდე“ 2008წ. გამომცემლობა „საარი“; „მარცხნივ“ – გამომცემლობა „საუნჯე“, 2010 წ; „ჭუპრი“ – გამომცემლობა „საუნჯე“ 2011 წ; „ნაცვალი სახელი“ გამომცემლობა „საუნჯე“ 2012 წ; „იავნანა კაცებისთვის“ 2015 წ. გამომცემლობა „ინტელექტი“) და პუბლიცისტური ნარკვევების („ორი ფინჯანი“, 2015 წ. გამომცემლობა „ინტელექტი“) ავტორი. არის ბევრი ლიტერატურული კონკურსის პრიზიორი და ნომინანტი. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, სლოვაკურ და რუსულ ენებზე. შეტანილია სხვადასხვა ანთოლოგიებში და ალმანახებში.

Kato Djavakhishvili – poet, publicist, born in 1979 in Tbilisi, Georgia. Kato Javakhishvili is an author of five books of poetry: „*From You to Me*“ (SAARI Pbl, 2008); „*On the Left*“ (Saundje Pbl. 2010); „*Pupa*“ Saundje Pbl. 2011); „*Deputy Name*“ (Saundje Pbl. 2012); „*A Lullaby for Males*“ –2015, Intelekti Pbl,) and the letters („*Two Cup*“ 2015, Intelekti Pbl). Kato is a prize-winner and a nominee of a number of literary competitions. Her poems are translated into English, German, Slovak and Russian languages as well as included in various anthologies and almanacs in Georgia and abroad.

ომის ამბავი

წამოდი, შუა ომში დავსხდეთ და ლიმონიანი
ჩაი დავლიოთ.

რა მნიშვნელობა აქვს ვინ იბრძვის, რატომ.

რა მნიშვნელობა აქვს ჩვენია ეს ომი, თუ არა.

რა მნიშვნელობა აქვს, ერთმანეთში ვმარცხდებით,
თუ საყოველთაო უძრაობაში გამარჯვებულები
მშვიდობას საკუთარი თავების გასამართლებლად
ვიგონებთ.

წამოდი, გაგანია ომში მშვიდობა მოვიგონოთ და
ქაფქაფა ჩაი დავსვრიპოთ.

ჩამოიარონ თავზარდაცემულმა ქალებმა და ზიზღით
ჩამოგვხედონ.

ჩამოიარონ ანგაჟირებულმა ახალგაზრდებმა და
ავტომატები მოხრილ ზურგებზე გაგვიხასუნონ.

ჩამოიარონ ანაფორიანებმა და ჯვარი არ გადაგვსახონ.

ჩამოიარონ ჰალტუხიანებმა და ხურდა ჩაის ფინჯანში
ჩაგვიყარონ.

წამოდი, ტყვიებს მოვუსმინოთ.

მე – ცარიელი მასრებისგან მძივებს გავაკეთებ.

შენ – გვამების ტამტამებს შემოჰკარი და თავი დახარე.

მე – შენს გარშემო ვიცეკვებ და ჩაის ფინჯანში
მზეს გავაჩენ.

შენ – თავი მაღლა აწიე და სახიდან

ჩემი დამწვარი კაბის ნაფლეთები კანიდან გაიცალე.

მე – ფეხებს დანადმულ მიწაში ჩავრგავ.

შენ – ფეხები დამბანე და ნაღმებს სიცოცხლე
დაუბრუნე.

მე – საშოდან დაუბადებელ შვილებს გამოვაძვრენ
და მაზუთში ამოვაველებ.

შენ – საპოხივით გადამისვი ტანზე შიში და ჩვენი
მაზუთიანი შვილები გადაყლაპე.

ჩამოიარონ თავზარდაცემულმა ქალებმა და
მოგვაწყევლონ.

ჩამოიარონ ანგაჟირებულმა ახალგაზრდებმა და
გვესროლონ.

ჩამოიარონ ჰალტუხიანმა კაცებმა და მიწა
გამოგვაცალონ.

ჩამოიარონ ანაფორიანებმა და ზურგი გვაქციონ.
წამოდი, ჩვენს ომში წავედეთ.

შუაგულ ომში წავედეთ და ლიმონიანი ჩაი დავხვრიპოთ.
რადგან ომში სხვანაირი სიყვარულია
და სიყვარული უფრო დანებებაა, ვიდრე გამარჯვება.

რადგან სიკეთე ხშირად ორგულია
და ორი გული მეტობას კი არა, ნაკლებობას ნიშნავს.

რადგან მრევლი ხშირად ტყუის,
და საკუთარი სიმართლე მხრებზე შემოდგომული
კუბოსავით მოაქვს.

რადგან პროცესია აბსურდია

და ყველა აბსურდი ერთხელაც ყველაზე დიდი
სიმართლე გახდება.

რადგან ყველა ომი ტყუილია
და ადამიანებს საკუთარი არსებობის დამტკიცება
არსებულის უარყოფით სჭირდებათ.
რადგან ძალადობა სისუსტეა
და ნებისმიერი სისუსტე უკვე სიძლიერის დამტკიცების
პირობაა.

რადგან ძალიან იოლია,
ადამიანები არ მიიღო ისეთები, როგორებიც არიან
და ძალიან ძნელი
საკუთარი თავი მათ სისუსტეში აღმოაჩინო.

წამოდი შუა ომში ჩამოვსხდეთ.
ფეხმორთხმულები დავსხდეთ და ლიმონიანი ჩაი
დავლიოთ.

სადაც სიმართლე მხოლოდ ისაა,
რომ კაცობრიობას ნებისმიერი ომი
შიშის დასაძლევად და გმირების მოსაგონებლად
სჭირდება,

სადაც მე და შენ,
ასე მშვიდად შეგვიძლია ცხოვრებას დავცინოთ.

იავნანა ჯაცებისთვის

თქვენ, ვინც მოხვედით ამა სოფლად
და იტვირთეთ ტვირთი ჩვენი და უძღურებანნი ჩვენნი.
თქვენ, ვინც გაგვიძვალეთ მკერდქვეშ ჩვენ და
საშვილოსნოში ჩავვისახეთ ნაყოფი თქვენი.
თქვენ, ვინც დაგვარქვით ნეკნი თქვენი და მოლოდინით
ავსებულეხს

ჩამოგვეფერთხეთ ტანიდან მტკერი.

თქვენ, ვინც დაგვპირდით:

რომ დაგვიცავთ, გამოგვკვებავთ, რომ იომებთ
უდარაჯებთ ჩვენს ბავშვივით მშვიდ ძილს.

ჩვენ - ვინც მოგენდეთ, მოგეყუდეთ

და ლოდინისგან მოეზილეთ სურვილის ცომი.

„პური ეს ჩვენი არსობისა“ – სხეულიდან – თონეში
ჩაკრული შვილი.

„სისხლი ეს ჩვენი არსობისა“ – მორჩილება –
ნელსაცხებლით დაბანა ფეხის.

ჩვენ, ვინც გირწმუნეთ,

თქვენ – კედლები.

თქვენ – სანგრები.

თქვენ – სიმშვიდე

სიყვარულში გაქცევა თვალის...

და იქ, სადაც სიყვარული შეცოტავდება და
სინარული დამოკლდება

და დედამიწა – ეს გაულვივებელი ხორბალი,

ყველა მანამდე არსებულ კანონსა და წესს დაარღვევს და
სადაც ხნულებად გაკვალული წარსული თოვლით

დაიფარება

და ყველა კედელი დაინგრევა და სიცოცხლის სანგრებში

ჩვენთვის ადგილი არ იქნება და მოთმინებაც არ იქნება და
სადაც მორჩილებაც არ იქნება და თავადვე გავხდებით
სანგრები,
რომ ჩვენი ტანიდან გამოწველილი სიცოცხლე
როგორმე დავიცვათ
და ჩვენი გაწყალებული სისხლით გამოვკვებოთ
ჩვენივე მატლები,
რომლებსაც თქვენ დაბადება და ამ დაბადებაში
სიკვდილი მიუსაჯეთ,
სადაც ჩვენს შრომისგან გაუხეშებულ ხელისგულებზე
სარეცხის საპნის ბუმტისოდენა ტკივილი გვალვიანი
ღამეებით ჩაიფუშება
და სპილენძის მავთულხლართებზე
დენდარტყმული ჩიტებივით ჩამოვეკიდებით,
რომ დიდი ქალაქების ცათამბჯენების ქვეშ მოქცეული
თქვენი ძილი
როგორმე დავაფრთხოთ,
და სიკვდილნარევი იავენანით გამოღვიძება გაიძულთ,
იქ, სადაც თქვენ უკვე დიდი ხანია გძინავთ,
ჩვენ კი სიფხიზლე დანაშაულის გრძნობასავით
შევითვისით,
იქ, სადაც ჩვენ განვკაცდით, სიძლიერე მოვიგონეთ
და ამ სიძლიერეში
ბავშვობის კაბასავით დაგვიმოკლდით,
იქ, სადაც ჩვენ გვინდოდა ვყოფილიყავით სუსტები
რომ ამ სისუსტეში ყოფნა,
თქვენთვის ყველაზე დიდი სიძლიერე ყოფილიყო,
თქვენთვის, ვინც მოხვედით ამა სოფლად
რომ გეტვირთათ ტვირთი ჩვენი და უძლურებანნი ჩვენნი
და ცოდვები ჩვენი, —
ახლა თქვენი საზიდი იყოს.

Where we pretend our strength while you have shrunk
like our childhood frocks,
Where we desired to be feeble and too weak
To give you strength
By being weak and feeble.

You, that were born to this wide world
To carry us and all our weaknesses like heavy burden;
Now have to carry
All our misery and mortal sins.

Translated by Tamar Japaridze



ეკა ქევანიშვილი

Eka Kevanishvili

ეკა ქევანიშვილი – პოეტი, ჟურნალისტი, დაიბადა 1979 წელს თბილისში. 1996 წელს დაამთავრა ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლა, 2002 წელს კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 2008 წლიდან არის რადიო თავისუფლების რეპორტიორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთებში „*რეზონანსი*“, „*ახალი ვერსია*“, რადიოში „*მწვანე ტალღა*“. არის სამი პოეტური კრებულის („*ჭორია*“, „*აქ ნუ დადგებით*“ და „*სახლის გაყიდვა*“) ავტორი. „*სახლის გაყიდვა*“ გახდა ლიტერატურული პრემია „*საბას*“ 2013 წლის გამარჯვებული ნომინაციაში წლის საუკეთესო პოეტური კრებული. ის ასევე არის ავტორი ლიტერატურული პროფაილების და ინტერვიუების კრებულისა „*ლიტერატურული პროფაილი*“ (2014).

ეკას ლექსები ნათარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, ლიტვურ და რუსულ ენებზე.

Eka Kevanishvili – poet, journalist, born in 1979. She worked as an investigative reporter in the following Georgian newspapers: „*Rezonansi*“, „*The New Version*“, also in radio „*Green Wave*“. Since 2008 she is a reporter of the Radio Free Europe/ Radio liberty, Tbilisi bureau. Eka kevanishvili is an author of three books of poetry (issued in 2006, 2010 and 2013) and a collection of literary essays. Eka Kevanishvili is a winner of the prestigious Georgian literary award „*Saba*“ for the best poetry book of the year (2013). Her poems are translated into English, German, Lithuanian and Russian languages.

ღროა, დავფიქრდე მეც

ღროა, დავფიქრდე ჩემს მოვალეობაზე.
ღროა დავფიქრდე იმაზე, რატომ არ ბზინავდა
ჩემი ოჯახი.

ნამდვილად იმიტომ, რომ ვმუშაობდი.
ნამდვილად იმიტომ, რომ ლამაზი ვიყავი.
ნამდვილად იმიტომ, რომ ხმამაღლა ვლაპარაკობდი.
ნამდვილად იმიტომ, რომ თავი არ გავწირე.
სიყვარული კი, რატომღაც,
არ მეგონა ძილის წინ ხუთწუთიანი სექსი და
დიდი სუპერმარკეტიდან
ქმართან ერთად ამაყად გამოსვლა.

სამოცდაათი შეკვრით.

არც ხელგადახვეული სიარული მეგონა სიყვარული,
როცა ორსულად ვიყავი,
არც გარემონტებული ბინა.
არც ორი ნაბიჯით ქმრის უკან სიარული.
იქნებ, ამიტომ ჩამოიშალა.

ღროა, დავფიქრდე ჩემს მოვალეობაზე და დავიფიქრო:
დაღლილი შეიძლება იყოს მხოლოდ ის.

მე კი წინსაფრის ჯიბეში ვიტენო
გაფენილი სარეცხი, ტაფაზე მიმწვარი თითი,
ეჭვიანობის ღოზები,

მინაზე მიჭყლეტილი ცხვირი, ბავშვების ჰამპერსები,
სერიალის ბედნიერი ფინალები

და ასე ვიცხოვრო –
მოთმენით და მორჩილებით – ამაში ცუდი არაფერია.
გააჩნია როგორ შეხედავ.
მე კი საიდანაც არ შევხედე, ყველა მხრიდან
იგივე გამოჩნდა.
დროა, მე ვიყო თვრამეტჯერ უფრო თბილი
(მაგრამ არა სექსუალური),
მამინაც, როცა სხვისი სუნი ასდის,
და ოჯახს, როგორც მოყანყალებულ მაგიდას –
ოთხად დაკეცილი ფურცელი,
ისე გავერჭო – დროებით სიმყარედ.
მე ასეთი ქვეშეაგება უნდა მომეწონოს.
საერთოდ, მუდმივად ქვეშეოფნა უნდა მომეწონდეს.
ოთხშაბათს და პარასკევს არ უნდა მიყვარდეს,
თუ შემთხვევით მთვრალმა ხელი არ მომიფათურა.
მაგ დღეებში უნდა მოკრძალებით მოიშორო
და ღმერთისკენ აახედო.
მან კი თქვას, ჩემი ცოლი ხარ, ღმერთს ვინ ეკითხება.
მერე კი სანთლები დავანთოთ. სიყვარული მოვიწინაოთ.
დროა, ბედნიერი ვიყო თავგანწირვით,
რადგან მე, ღმერთმა, თუ მაინცდამაინც ამას დავეუშვებთ,
მომცა ძუძუები და საშო.
მას კი უფრო აღმატებული ორგანოები.
დროა, თაყვანი ვცე მათ, რომ გავმრავლდე.
დროა დავბანო ფეხები,
და არასოდეს გამეპაროს თვალი უფრო ზემოთ.

და ვხედავდე ტერფიდან მუხლამდე და
მკერდიდან შუბლამდე.
დანარჩენი სხეული სიბნელეში უნდა დავინახო.
დროა ამ სხეულზე ამოსული ჩემი თავი
გველემაპივით მომაჭრას,
რადგან თურმე ვერ ვეტყვი.
დროა ის იყო მთავარი და მოიტანოს ფული.
მე კი ყოველდღე გავუწოდო სია – დღეს გვინდა
პური, მაიონეზი, ზეთი, მწვანილი.
და სიის ბოლოს მოკრძალებით მივაწერო:
ჰიგიენური საფენი.
და ამით ვიყო ბედნიერი.
ალბათ, დროა.
მაგრამ მე მახსოვს:
ერთხელ, კაცმა მართლა დამბანა ფეხები და მე
მას ვუყვარდი.
ერთხელ მე ჩემს კაცს მართლა დავბანე ფეხები და
მე ის მიყვარდა.
მაგ დროს არცერთს არ გვახსოვდა საღვთო წერილი.
მაგ დროს არც ერთს არ გვახსოვდა რომელიღაც
დეკლარაცია.
და ჩვენ გვქონდა
ორი სხეული.
ორი თავი.
შესაბამისად, ოთხი ფეხი და ოთხი ხელი.
და ვეტეოდით.

ეკას ღმერთები

გამარჯობა ღმერთო.
მეგობარმა მომასწავლა შენი მისამართი,
ძლივს მოვაგენი.
თან საათნახევარიც დავაგვიანე,
რა შორს ცხოვრობ თურმე ცენტრიდან.
გადმოგცეს, რომ შემოვირბინე?
თქმა მინდოდა.
ამოთქმა უფრო.
უკვე გატყუებ – მოთქმა მინდოდა.
შენ არ იყავი, ტყუილისთვის
აღრე ცხვირი რომ დამიგრძელე?
და მკერდი როცა გამიზარდე,
გახსოვს როგორ გავაპროტესტე?
მხრებში მოხრით – ასეთი დავრჩი.
მაგრამ,
მაინც ვერ დამსაჯე კარგად.
მამაჩემმა მითხრა ერთხელ,
ღმერთი დავდისო თვალებში, როცა იღიმი...

It's time to think

It's time to think about my duties,
It's time to think why my family fell apart.
Certainly because I worked;
Certainly because I was beautiful;
Certainly because my voice was loud;
Certainly because I refused to sacrifice myself.
And for some reason I never believed
That love is a five-minute sex before going to asleep
Or walking out of a supermarket proudly
With my husband carrying dozens of packages
Nor did I believe that love is
Strolling hand-in-hand
Being pregnant
Living in a comfortable apartment,
Or walking two steps behind my husband,
I guess, that's why it was dissolved
It's time to think about my duties and believe:
That only he can be exhausted;
But I have to fill the pockets of my apron with
Drying laundry, a finger burnt on a frying-pan,
fits of jealousy,
The nose pressed against glass, the diapers the happy
end of TV shows,
And live like that:
With patience and obedience- it isn't so bad,

It all depends on how you look at it.
But no matter how I looked at it, I saw the same picture.
It's time to be a few times tenderer (but not sexier),
Even when he smells of another woman,
And support the family like a small wedge of wood
Inserted under a wobbly table leg;
Yes, to save the family for a little while longer
I need to keep a low profile.
I should generally like to keep my head down all
the time.
I must not make love on Wednesdays and Fridays,
Unless he drunkenly gropes me
Then I should gently push him away and point up
to God,
And he will say: It's not God's business, you're
my wife!
Then we will light a candle. Regret our love.
It's time for me to enjoy sacrificing myself,
Because, assuming, God,
Gave me breasts and vagina
But him superior private parts.
It's time to worship them if I want to propagate.
It's time to wash his feet
And never steal my glance upper than that
Only see him from his feet to knees and from his
shoulders to forehead.

Eka's Gods

Hello God.

A friend of mine gave me your address,
but I barely found the way.

What's more, I'm an hour and a half late.

As it turns out you really live far from downtown.

Were you told that I was dropping by?

I have something to say.

It's better to say it – to speak out.

I'm lying already – I want to wail.

Didn't you make my nose grow larger
for lying?

And when you made my chest grow, do you remember
how I protested?

By slouching my shoulders – since then I have
remained that way.

However,

still you bring yourself to dish out such dull
punishments to me.

My father told me once,

God is in your eyes when you smile.

Did you know, since that day I've been keeping an eye
on you in the mirror,

since that very day I've been washing you with tears
when I want to make you disappear.
And now it's the same.
Today I've taken this walk to your place
just to ask you
if perhaps you'd go away,
if you won't help me.
This is reckless,
but you should let me know today.
If you like, slip it under my pillow,
and I will dig with my hands and words
shall fasten like leeches.
And even if I repeat these words flawlessly in
a dream
I'll be sure
to learn the prayer.
A prayer for your returning.

*Translated by
Ani Kopaliani, Ketevan Kanchashvili and author*



ნინო სადღობელაშვილი

Nino Sadghobelashvili

ნინო სადღობელაშვილი – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, დაიბადა 1980 წელს, თბილისში. 2002 წელს დაამთავრა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობით. მუშაობს რადიო „ივერიის“ ლიტერატურული რედაქციაში. გამოცემული აქვს წიგნები: „ბამბაზიის სამოთხე“ (მოთხრობები, 2006), „შუალამის იაენანა“ (ლექსები, 2008), „ორსული“ (რომანი, 2009), „ფრთები და ხელები“ (პოეზია, 2011), „თავშესაფარი“ (რომანი, მოთხრობები, 2011), „იასამნის სეზონი“ (მოთხრობები, 2013), „წამი აქა, წამი იქა“ (რომანი, 2014), „განძის თეატრი“ (რომანი ფენტეზი, 2015). 2007 წელს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრში დაიდგა მისი პიესა „ბამბაზიის სამოთხე“ (რეჟისორი გიორგი სინარულიძე) 2009 წელს ავთო ვარსიმაშვილმა და გიორგი სინარულიძემ გადაიღეს ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი. მისი პიესები იდგმება თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა თეატრში. 2011 წლიდან არის ერთ-ერთი დამფუძნებელი კინოსტუდიის „ხომლი“, რომელშიც მუშაობს მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების სცენარებზე. თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ ენებზე.

Nino Sadghobelashvili – poet, teacher, born in 1980, works for the literary editorial office of the Patriarchy radio. She is and author of the collection of short stories: „*Fustian Paradise*“ (2006) and „*Season of Lilac*“ (2013); Collection of poetry – „*Midnight Lullaby*“ (2008), and „*Hands and Wings*“ (2011). Her trilogy of novels „*A Pregnant One*“, „*Shelter*“ and „*Here and There*“ came out in 2014. In 2007 Nino Sadgobelashvili’s play „*Fustian Paradise*“ was staged at the Kutaisi Lado Meskhishvili Drama Theater. In 2010 the theatre directot Avto Varsimashvili filmed the same play. Her plays are staged in Tbilisi and other cities of Georgia. Her works have been translated into English, German and Azerbaijan Languages.

სიყვარული

ერთმანეთს შევხვდით ბაღში და
განაპირა სკამი გავიყავით.
მერე ერთმანეთს მივწერეთ პირველი წერილი და
ცარიელი ფურცელი გავიყავით.
მერე მოვიდა თოვლი და
თოვლიც გავიყავით.
მერე შეგვემთხვა გაზაფხული და
გაზაფხული გავიყავით.
მერე ჩამოდგა სიჩუმე და
სიჩუმე გავიყავით.
მერე ავმღერდით მარტოობას და
მარტოობაც გავიყავით.
მერე მოგვინდა ტყუილი და
ტყუილი გავიყავით.
მერე ცას მოწყდა ვარსკვლავი და
ვარსკვლავი გავიყავით,
მერე მეორე ვარსკვლავი და,
მეორეც გავიყავით..
მერე მოგვადგა ჰორიზონტი და
ისიც გავიყავით.
მერე აღმოჩნდა სიკვდილი და
სიკვდილი გავიყავით.
ხვალ უკვე არავის ახსოვდა
ვინ ანდა რა ვიყავით,
უსიერ ღამეში
სინათლის ჩიტებად გავიყავით.

* * *

კტრიალებ აწმყოში,
ვიგებ და ვამარცხებ,
ვამტვრევ და ვაშენებ,
ქვას ქვაზე ვამატებ,
ფოთოლს თაიგულზე,
ნარღვევზე – ნაჭერს,
აწმყოში ვაგორებ
ვარსკვლავის კამათელს,

და კი არ ვთამაშობ –
– მომავლით ორსული
მე წარსულს ვაჩენ.

Love

We met in the garden and
Shared the bench at the edge.
Then we wrote the first love letter and
Shared a blank paper sheet.
Then it started snowing and
We shared snow.
Then the spring happened to us and
We shared the spring.
Then the silence occupied and
We shared the silence.
Then we sang in the solitude and
Shared the solitude.
Then we felt like lying and
Shared the lie.
Then a star fell from the sky and
We shared the star.
Then another star fell and
We shared it too.
Then the horizon came over and
We shared the horizon.
Then death appeared and
We shared the death.
What or who we were
Almost tomorrow no one could say.
In the pitch-dark of the night
We parted like two light-birds.

* * *

Keep whirling in present,
I win, I am defeated,
I break, I build,
I stow down a stone upon a stone,
A leaf in the garland
Cloth on the rip
Cast a die of stars
At present,
No gambling – Pregnant with future
I deliver past.

Translated by Manana Dumbadze



დიანა ანფიმიადი

Diana Anphimiadi

დიანა ანფიმიადი – პოეტი, პუბლიცისტი, ლინგვისტი, პედაგოგი, თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. დაიბადა 1982 წელს. არის 5 პოეტური კრებულის ავტორი: „შოკოლადი“ (2008), „კონსპექტური მითოლოგია“ (2009), „ახლოხედვის ტრაექტორია“ (2013), „პირადი კულინარია“ (2012), „ჩრდილის ამოჭრა“ (2015). ასევე, იგი არის რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, მათ შორის ლიტერატურული პრემიები – „წერო“ (2008) და „საბა“ (2009), ცხოვრობს თბილისში მეუღლესა და ვაჟთან ერთად.

Diana Anphimiadi - poet, publicist, linguist and a teacher. Born in 1982. At present she is a doctoral student at the Linguistic Institute of the Tbilisi Javahkishvili University. Diana has published 5 collections of poetry and prose: „*Shokoladi*“ (Chocolate 2008), „*Konspekturi*“ Mitologia (Resumé of Mythology, 2009), „*Alhlokhedvis Traectoria*“ (Trajectory of the Short-Sighted, 2012), „*Kulinaria*“ (Personal Cuisine, 2013), „*Chrdilis Amochra*“ (Cutting out a Shade 2015). Diana is a winner of a number of prestigious awards, including first prize of the „*Tsero*“ (Crane) award in 2008, and the Saba Prize for the best first collection in 2009. Diana lives in Tbilisi with her husband and a son.

მელეა

ის, ვინც საკუთარ გამონაბოლქვ სუნთქვას გაჰყვება
უცხო მხარეში –
გასაქცევად დაეძებს მიზეზს,
რადგან ერთ დღესაც
აივსება ყველა ბელელი
და მოხარშული ხორბალიც კი აბიბინდება.
ის, ვინც ღრუბლიდან
შუა ზღვაში გადაგარდება –
გასაქცევად დაეძებს მიზეზს,
რადგან ვერცერთი,
თუნდაც შავი,
ზღვა ვერ დაგანრჩობს
თუკი შენი სახელი ჰქვია.
ის, ვინც საკუთარ ტყავს გაიხდის,
დარაჯს მიუჩენს –
გასაქცევად დაეძებს მიზეზს
რადგან ერთხელაც
ეძინება ყველა გველეშაპს
ყველა სიფრთხილზე და სიფხიზლე
დასაძლევია.
ის, ვინც მინდორში კბილებს დათესს –
მოიმკის შიმშილს
– გასაქცევად საჭირო მიზეზს,
რადგან მიწიდან ამოწვერილ

ყველა გოლიათს
ფესვებს მაინც მახრა შეუჭამს.
ის, ვინც უცხოელს შეიყვარებს
(სწრაფმავეალ ზომალდს)
გასაქცევად დაეძებს მიზეზს,
რადგანაც ყველა იმ მდინარის პირას ბრუნდება,
სადაც ცალი სანდალი დარჩა.

შენ ვინც საკუთარ თავს დაეძებს,
ნუ მოხვალ ახლოს,
ლამე მინდორში გაათენე,
დიდი ხანია მდინარეებს არ მოაქვთ ოქრო
მხოლოდ თევზები ანათებენ,
და სიტყვებს შორის მანძილები
მიჩირქდება,
მიმიზეზდება,
გზები რომ არა,
დაგტოვებდი,
მოგიბეზრებდი...

და ისე მშვიდად,
როგორც ნიმფა ტანზე რძეს ივლებს, –
მეც გასაქცევად დავეძებ მიზეზს –
ვხოცავ ჩვენს შვილებს...

არავის ველი

არავის ველი...

საბნად ვიფარებ თბილ ქუთუთოებს –
არარსებული მხეცის ტყავებს,
და ჩემი ყურის ნიჟარები
დუმილის ზღვასთან ფრთხილად დავაწყვე,
არავის ველი.

მე ხომ ნივთებიც არ მეკუთვნიან,
მხოლოდ გამლღვალ კონტურებს ვხედავ,
არავის ველი.

და არაფრის თევზებსლა ვწვავ თვლემის ტაფაზე
და როგორც კევს, ფიქრში ვღეჭავ სიტუაციებს,
შემთხვევით რომ არ მივალეჭო ჩემივე ენა.
იმ ღამით, ჩემი ხერხემლის მივიდგი კიბე
და ბოლოს მთვარის მოსაწყვეტად რომ ავიწიე,
თქვენ ისევ სცადეთ,
შეგეჭვრიტათ ჩემი კაბის ქვეშ.
არავის ველი...

Medea

The one who follows her own worn out breath
to a strange land
is looking for reason to run away,
because one day
every granary will be filled up
and even boiled wheat will wave anew.

The one tumbles from
a cloud into the open sea.
Is looking for a reason to run away,
because not every sea,
even the Black Sea
can drown you
if it knows your name.

The one who strips off her own skin,
and assigns a guard to it,
is looking for a reason to run away,
because one day
every dragon will fall asleep,
and every trace of sobriety and alertness
will be overcome.

The one who plants teeth in a field -
will harvest starvation -
a reason to run away,
because the mole-crickets will gnaw
at the roots of each Goliath

who rises from the earth.
The one who falls in love with a stranger
(a high-speed vessel)
is looking for a reason to run away,
because one day
everyone will return
to that river bank
where she left one sandal.

You, who are looking for yourself,
don't come closer,
stay in the field tonight,
a long time has passed since our rivers
ceased bringing gold.
But only the fish illuminate there,
and the distance between words
infects me...
inflames me...
and if not for these ways,
I'd leave you,
I'd bore you.

And as calmly
as a nymph draws milk for a bath,
I'm looking for a reason to run away –
the killing of children.

For nobody I'm waiting. . .

For nobody I'm waiting...
Warm eyelids like blankets are covered upon me –
Skins of airy-fairy breasts,
And I've carefully put my ear-shells
Near the sea of muteness,
For nobody I'm waiting...
Even things avoid to be my aught,
I only see their melted outlines,
For nobody I'm waiting...
And I'm frying nothing's fishes on the pan of dozing
And my mind is chewing situations, like gums,
Fearing not to chew my tongue after them.
That night, when I put the ladder of my spine
And was standing on my tiptoes to pick the moon,
You tried to look under my skirt...
For nobody I'm waiting...

Translated by Ana Kopaliani



სალომე ბენიძე

Salome Benidze

სალომე ბენიძე – პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი. დაიბადა 1986 წელს ქუთაისში. სხვადასხვა დროს ის სწავლობდა ჟურნალისტიკას, საზოგადოებასთან ურთიერთობასა და პოლიტიკურ მეცნიერებებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვილნიუსის უნივერსიტეტსა და თესალონიკის ალექსანდრეს ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. გამოცემული აქვს: „*მოხსენებითი ბარათი*“ (პოეტური კრებული – გამომცემლობა „ინტელექტი“, 2011), „*ამბავი უძინართა*“ (პოეტური კრებული – გამომცემლობა „ინტელექტი“, 2013), „*ქალაქი წყალზე*“ (პროზაული კრებული – გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, 2015). არის ლიტერატურული პრემია „საბას“ (2012) და წინანდლის პრემიის (2016) ლაურეატი, საქმიანობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში და აქტიურად მონაწილეობს ქალთა უფლებების დაცვისთვის.

Salome Benidze – poet, writer, translator, PR specialist born in 1986 in Kutaisi. Salome Benidze studied journalism, public relations and political science at Tbilisi State University, Vilnius University and Alexander Technological Institution of Thessaloniki. She is the author of the following books: *An Explanatory Note* (Poetry collection - Intelekti Publishing, 2011), *The Story of the Sleepless* (Poetry collection - Intelekti Publishing, 2013), *The City on the Water* (Short stories - Books in Batumi Publishing, 2015). She is a winner of the literary award Saba (2012) and „Tsinandali“ prize (2016). Currently she is a public relations specialist and an activist of women's rights.

ამსტერდამი-ბოსტონი. გადაფრენა.

შენ მეუბნები,
რომ სიყვარული ახლა უფრო გლობალურია,
ვიდრე მაშინ,
როცა ლამაზი, ჩემზე ბევრად უფრო ლამაზი,
თექვსმეტი წლის ბებიჩემი,
მთელი ექვსი წლით უმცროსი ჩემზე,
ფარდის იქიდან უყურებდა ბაბუაჩემს,
შავი ულაცით მოჯირითეს სოფლის შარაზე,
და არ იცოდა, მალე სამ ვაჟს მისცემდათ ღმერთი,
დედასავით ხორბლისფერებს,
მამასავით მხარბეჭიანებს,
რომ მერე ისე წაერთმია, არც კი ეკითხა.
შენ მეუბნები,
რომ სიყვარულმა გემო გაუგო თავისუფლებას
და ახლა უფრო კარგად სუნთქავს,
ვიდრე მაშინ,
როცა ბაბუამ საამაყო შავი ულაცით
მოიტაცა ბებიჩემი
და მაყრიონმა ოდოიას შემოდახებით
დაარღვია ჭაობიან სოფლის სიჩუმე.
მორჩილად იჯდა კერის პირას ბებია თურმე,
ბედისწერას თუჯის ქვაბში ჩუმად ხარშავდა,
რომ მერე წლები გასულიყო
და მე, ბებიის სიყმაწვილის ფოტოს ნეგატივს,
ერთ მშვენიერ დღეს ოკეანის თავზე მეფრინა,
ლურჯი ჯინსით და გლობალური პრობლემებით,
და ჩემოდანში დიდი წიგნით,

„საქართველო“ რომ აწერია გარეკანზე
და პირველ გვერდზე
ჩვენებური სიამაყით და თავმოწონებით
გამოსახულ ფერად რუკაზე,
ის მიწა არის ჩამოჭრილი,
სადაც თავისი წილი ჭკობები დაუზარლად ამოაშრო
ბაბუაჩემმა,

სადაც იმღერა ოდოია,
სადაც სახლი ააშენა და მოყვრისთვის კარი გამოაღო,
სადაც ვენახი ჩაყარა და მსხალი დარგო,
სწორედ ის მიწა,
შვილების ხორციით და ცრემლით რომ ანოყიერა.
ჩაკეტილია სახლის კარი
და ამის შემდეგ შენ მეუბნები,
რომ სიყვარული გახდა უფრო გლობალური,
ვიდრე ოდესმე,
ჩვენს ებრაელ შვილებს რადგანაც
ქვიათ ბერძნული სახელები
და რადგანაც ქერა თმის გამო,
ბებიისგან რომ გადმომეცა გენეტიკურად,
ხანდახან პასპორტს არც მიმოწმებენ,
შენ მეუბნები,
რომ ბედნიერ ეპოქაში მიწვევს ცხოვრება,
გამოდევნილს საკუთარი სიზმრებიდან,
საკუთარი ტკივილებიდან,
დაუმარხავს წინაპრების სასაფლაოზე,
ოკეანის ტალღების თავზე
უპატრონოდ გამოკიდებულს,
მკვებავს ჩემი და შენი
გლობალური სიყვარული.

ბერლინი. იანვარი.

ამ ყრუ კედელთან დახვრეტილი ანგელოზების
ნაცრისფერ გვამებს გადმოაბიჯე
და ისე მოდი,
რადგან გზები გვამების გავლით ოდითგანვე
უფრო მოკლეა,
ვიდრე სხვა გზები, შემოვლითი და შორეული.
თანაც, თოვლში ხომ არასოდეს არ ჩანან ჯვრები,
არც სახელები, არც გვარები
და არც თიხის ძველი ქოთნები,
ჩამომხმარი ყვავილებით ამოვსებული.
გადმოაბიჯე აქ ჩამარხულ სიცოცხლეებს,
რომ ჩემთან მოსვლა წამითაც არ დაგაგვიანდეს.
არ შემახსენო,
რომ ერთ დღეს ყველა მიმატოვებს,
რადგან ვიცხოვრე დაყოფილმა ათას ნაწილად
და საკუთარ არსებობას ვერ იქნა და ვერ შევეგუე.
არ შემახსენო, რომ გჭირდება, შენს სულს ჭირდება,
მოხსენიება ჩემს ჯერაც უთქმელ ღამის ლოცვებში —
ისედაც ვიცი, ვერ გადავრჩებით უერთმანეთოდ.
და როცა წასვლას დააპირებ,
ამ ყრუ კედელთან დამარხული, დავიწყებული
ტკივილების
სასაფლაოებს შემოუარე
და ისე წადი,
მინდა, რომ დიდხანს გიყურებდე ჩემგან მიმავალს.

მერე გახდება ყველაფერი უფრო ადვილი
და როცა სიკვდილს გადაწყვეტ, არ დაგავიწყდეს –
ფერადი კაშნე,
ჩრდილოურ ზამთრის ღამეებში რომ მოგიქსოვე
ხელის კანკალით,
გამოდგება ერთ ღლეს თოკადაც –
ისე მოვქსოვე, რომ გაუძლოს სიმძიმეს შენსას,
შენი თეთრი სხეულის და გულის სიმძიმეს,
სადაც მე ვცხოვრობ.
და ამ თოკზე რომ გიპოვიან ჩამოკიდებულს,
გალურჯებულს და მოქანავს,
ძველი საათის მორყეული ქანქარასავით,
მე გავიღიმებ
და ვიტყვი, რომ გაქცევაში დაგეხმარე,
ისე მიყვარდი.

Amsterdam – Boston. Flying Over

You're telling me
that love is more global now
than when
a very beautiful, much more beautiful than me,
my granny of sixteen,
whole six years younger than me,
was looking from behind the curtain at my grandpa,
riding the black stallion on the village road;
she didn't know then – god would give three sons to them,
fair like their mother,
well-built like their father,
just to take them back without any notice.
You're telling me,
that love has tasted liberty
and breathes better now,
then when
my grandfather stole my grandmother
with his black stallion of pride,
and the bridegroom's men,
with the pitch of their song
broke the silence of the muddy village.
They say granny calmly took her seat by the fireplace
boiling the fate into the iron pot,
so that the years later
me, the photonegative of my grandmother's youth ,
would fly over the ocean one clear day,
with the blue jeans and global problems
and a huge book in my suitcase
titled as „Georgia“ on the front cover
and with the colored map

depicted on its first page,
with our way of pride and admiration,
but having cut that piece of land
on which my grandfather straggled with his
portions of the swamp,
where he would sing his song,
where he had built his house and opened its door for friends,
where he planted his vineyard and pear orchards,
the very land,
which he fed with the bodies of his sons and
watered with his tears.
The wooden door is locked
and you're telling me after this
that love became more global
now, then ever
because our Jewish children
have Greek names
and because of the blond hair
Inherited from granny,
sometimes my passport isn't even checked as
I pass the gates,
You're telling me
that I happen to live in the lucky era,
forced away from my own dreams,
my own pains,
having lost a chance to be buried in the ancestral graveyard,
being suspended over the ocean waves
without any kinsman at my side,
feeding myself with the only food -
our global love.

Translated by Lela Samniashvili

Berlin. January.

Step over the grey corpses of angels
shot by this bleak wall
that path will bring you to me:
the paths that pass through corpses are always
shorter than others – circuitous and distant.
One day, snow will cover all of the crests,
and titles, and all the names,
and old clay pots
full of flowers – as dry as chips.
Step over these existences buried deep
and don't be late not even for a minute.
Don't remind me –
one day I'll be thoroughly forsaken,
because I lived scattered in a thousand pieces
and could never adapt to my own existence.
Don't remind me –
You have needs,
that your soul needs
to keep me in it's still unfulfilled night prayers –
I already knew
There is no other way of surviving – except for me and you.
And when you intend to leave
step over these cemeteries
of forgotten hurts buried under this bleak wall
and go that way
I want to imprint on your back a long, long stare.
Then everything will be easier
and when you intend to die, please, remember –

the colorful scarf
my trembling hands wove for you
in typical northern winter nights
will serve you one day as a rope as well –
it's knitted tight to hold your weight,
the weight of your snow white body
and your heart – one of my dwelling places.
And when they find you hung on this rope,
all blue and swaying,
like a swingy pendulum of an old clock,
I'll smile slightly
and say – I helped you escape because
I loved you so.

Translated by Ani Kopaliani



გვანცა ჯობავა

Gvantsa Jobava

გვანცა ჯობავა – პოეტი, მთარგმნელი, დაიბადა 1986 წელს თბილისში. ამჟამად გამომცემლობების ინტელექტისა და არტანუჯის საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერია და ასევე საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე. ნათარგმნი აქვს: სოლ ბელ-ოუს მისტერ სამლერის პლანეტა („ინტელექტი“, 2012), ჯონ ლენონის როგორც მეწერება („არტანუჯი“, 2012), ანა პოლიტკოვსკაიას პუტინის რუსეთი („არტანუჯი“, 2013), ირაკლი ჩარკვიანის „პირადი წერილები“ („ინტელექტი“, 2015), ჯონ სტაინბეკის „თაგვებსა და ადამიანებზე“ („არტანუჯი“, 2015); არის ორი საბავშვო წიგნის ავტორი: 5 ბავშვი - 5 თბილისი (ელფი, 2009) და კოლოფი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011); 2012 წელს გამომცემლობა ინტელექტმა გამოსცა მისი სადებიუტო პოეტური კრებული კარდიოგრამა, ხოლო 2013 წელს პირველი რომანი CHECK-IN. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ და სომხურ ენებზე.

Gvantsa Jobava – poet, translator, born in Tbilisi in 1986. At present she works in publishing houses Intelekti and Artanuji as the manager of international relations and is the deputy chairman of Georgian Publishers and Booksellers Association. She has translated: Mr. Samler’s Planetby Saul Bellow (Intelekti Publishing 2012), In His Own Write by John Lenon (Artanuji Publishing, 2012), Listen to the Children by Annejet Campbell (Ustari Publishing, 2012), Putin’s Russia by Anna Politkovskaya (Artanuji Publishing, 2014), Private Letters by Irakli Charkviani (Intelekti Publishing 2015), Of Mice and Men by John Steinbeck (Artanuji Publishing 2015); She is the author of two children’s books: Five Children – Five Tbilisis (Publishing House The Elf, 2009), A Box (Bakur Sulakauri’s Publishing House, 2011). In 2012 Intelekti Publishing published her first collection of poetry The Cardigram and in 2014 first novel Check-In. Her works are translated into English and Armenian languages.

კიბერტერორიზმი

მე ვამბობ, რომ სიყვარული დიდი ხნის წინ გადაშენდა
და მისი ფიჭული დინოზავრის ნაკვალევით
ყოველდღიურად იზიდავს მილიონობით
დამთვალეირებელს.

დინოზავრის ნაკვალევსა თუ გადაშენებული
სიყვარულის

ფიჭულის მომლოდინე ტურისტების გრძელი რიგები
არასდროს წყდება მუზეუმებთან, ნაკრძალებთან...
რჩეულებთან, რომლებიც კვარცხლბეკზე ღვანან
და მომლოდინე ადამიანებს მკვდრედით აღმდგარ
სიყვარულზე უყვებიან, თავბრუს ახვევენ,
სიყვარულზე, რომელსაც აღარა აქვს ღმერთთან საერთო,
მით უფრო არც ადამიანთან, უბრალოდ იყო მანამ,
სანამ თავს დაკარგავდა და სტატუსსაც დედამიწაზე,
სანამ ტექნოლოგიური ინოვაციების სიმაღლეებიდან,
კიბერტერორიზმისა თუ უსაფრთხოების სიმაღლეებიდან,
კამიკაძე ტერორისტებისა თუ ალ ქაიდას,
ტყუპი თაუერების, ავლანეთისა თუ სირიის,
ჩეჩნეთის, ბესლანისა თუ ფუკუშიმას ატომური
სადგურის,
აფხაზეთ-ოსეთისა თუ შექმდე ყირიმის,
ევრომაიდანისა თუ ევროკავშირის,

ნატოსა თუ საბჭოთა კავშირის,
კრემლის, თეთრი სახლისა თუ პენტაგონის,
ძელოვშინისა თუ დემოკრატიის,
სანამ პირველი თუ მეორე მსოფლიო ომის,
რელიგიური ტერორისა თუ რელიგიაზე ტერორის,
ფემინიზმის, ქალებზე ძალადობისა
თუ გენდერული თანასწორობის,
პოლიტიკური მაფიისა თუ „კეთილდღეობის“,
სიღარიბის, შიმშილისა თუ ეპიდემიის,
„აის ბაკეტ ჩელენჯისა“ თუ „გამოწვევების“,
ეგოიზმის, ფსიქოზისა თუ დეპრესიების,
მექანიკური სექსისა თუ ბანკის სესხების,
ლოთობისა თუ ნარკომანიის
და მრავალი სხვა სიმაღლიდან
გადმოხედავდნენ ადამიანები და ეტყოდნენ,
რომ ის, დიდი ხნის წინ გადაშენებული
სიყვარულის ძვირადღირებული ფიტული
ენდი უორჰოლსა და შილეს შორის
ბევრად კარგი ჩანს, ძვირფასი და მიუწვდომელი,
ვიდრე ამას სიცოცხლეში მოახერხებდა.

მე ვამბობ, რომ დავდივარ ქალაქებში, მუზეუმებში,
მძინავს და ვიცდი რკინიგზის სადგურებში,
აეროპორტებში,
რომ ვთქვა, ღმერთო, მე ყველგან ვიყავი შენს სანახავად,
ყველგან გეძებდი,
ყველგან საკუთარი სხეულის გარდა.
ვდგებოდი დილით და მივდიოდი,
ღამით არ ვწვებოდი და მივდიოდი,
ჩემში გამქრალ სიყვარულზე რომ არ მეფიქრა
და მჯერა, რომ მე, ჩემი ღროის ყველაზე დიდი მოგზაური,
გადავეყრები რომელიმე მუზეუმის ინსტალაციაში
სიყვარულს - თანამედროვე არტის ინსტრუმენტს
და ჩემი ახლადშეძენილი „აიფონ ექვსით“
„სელფს“ გადავიღებ
და დავწერ სტატუსს,
რომ მე „ვგრძნობ თავს ისე ძლიერ ფანტასტიკურად,
როგორც არასდროს,
სიყვარულთან, რომელიც გადაშენდა ადრე,
ვიდრე ღინოზავრები“.

საათის ისრები

მა, ახლა შენ გძინავს...
მე ისევ შენს საწერ მაგიდას ვუზივარ
და ისევე მინთია მაგიდის ნათურა,
როგორც ყოველ ღამე.
ვწერ ყოველ ღამე,
ხან რას, ხან რას,
და შენი სუნთქვა
სივრცეს ასხლეტილი მზის სხივივით
პირდაპირ ჩემს მაგიდას ეცემა,
წუთში ოცდაათჯერ
(გითვლი სუნთქვას ყოველ ღამე),
მელანივით ვაწობ შიგ თითებს
წუთში ათჯერ მაინც
და ვწერ,
ხან რას, ხან რას...
ჰო, ახლა შენ გძინავს.
ბოლო ხანია ჩემზე ადრე იძინებ.
იძინებ, მაგრამ საათში ერთხელ
ჩემი ნათურის შუქს ამოწმებ.
საათში ერთხელ გამომძახებ,
მომიკითხავ...
და როცა შუქს ვაქრობ და
ვემზადები დასაწოლად,

იმ წუთას თვალს ახელ და
მეძახი, მეკითხები,
ვწვები თუ არა.
და იმ წუთას არ მინდა მჯეროდეს,
რომ უკვე გავიზარდე.
აღბათ არც შენ გინდა.
არადა, ბოლო ხანია,
მე და შენ ერთად ვმალავთ
ჩემს პირველ ჭკლარებს
(მაკრატელს გაწვდი და ჭკლარებს
შენვე პოულობ).
მე მაინც ჯიუტად კედლებით დავდივარ,
ვიცვამ ყველაფერს ბავშვურს
და სასაცილოს
(არ ვიცი, შენ ყოველთვის გეცინება,
როცა დილით სახლიდან გავდივარ,
და მაშინაც, როცა უკან ვბრუნდები).
არ მინდა მჯეროდეს, რომ გავიზარდე,
აღბათ არც შენ გინდა.
ყოველ საღამოს მეკითხები,
ამდენ ხანს სად ხარო,
მაშინაც კი, როცა იცი, რომ –
სამსახურში.

ისე მეკითხები, როგორც ადრე.
მე აღარ ვდარდობ პასუხზე ძველებურად,
უბრალოდ გიღიმი,
შენ კი მელოდები – ძველებურად,
საათს შესცქერი ყოველ საღამოს.
მა, შენ ახლაც ისევე წევზარ
და ელოდები ჩემს დაძინებას,
როგორც ყოველ ღამე,
თვალი გაახილე და გამომძახე,
ხომ არ გცივაო, მე მოკლედ
გიპასუხე, რომ არა და წერა გავაგრძელე,
შემეშინდა, სიტყვა არ გამიწყდესმეთქი,
შენც გაჩუმდი, იქნებ ცოტა გეწყინა კიდევ
(არადა, რა იცი, რომ ახლა სწორედ
შენზე ვცდილობ რამე დავწერო)...
მა, ახლა შენს ნაწყენ სუნთქვაში ჩავაწე
ცივი თითები... და დავწერე ბოლო სიტყვები:
მა, იცი, როგორ ვგავართ ისრებს ციფერბლატზე,
შენ – დიდი, მე - პატარა.
მიდიხარ, მოგყვები...
მიდიხარ, მოგყვები...

Cyberterrorism

I say that love has gone extinct a long time ago,
Its fossil enticing millions of viewers by the day
Like the footprints of a dinosaur.
Vast lines of tourists in expectation of a
dinosaur's footprints or a fossil of love long forgotten
Never end at the museums, at the parks...
With celebrities standing on a pedestal
Telling those in expectation about love
Risen from the dead, making their heads go faint,
About a love no longer having anything in common
with God,
And with a human being all the more, just existing,
Until it loses itself and its status too, on the earth,
Until people look out from the heights of
Technological innovations,
Cyberterrorism or security,
Of suicidal terrorists or Al-Qaeda,
The Twin Towers, Afghanistan, or Syria,
Of Chechnya, Beslan, or the Fukushima Nuclear Plant,
Of Abkhazia, Ossetia, and then the Crimea,
Euro Maidan or the European Union,
Of NATO or the Soviet Union,
Of the Kremlin, the White House, or the Pentagon,
Dedovshchina or democracy,
From the heights of the First or Second World War,
Of religious terrorism or terror against religion,
Of feminism, violence against women,
Or gender equality,
Of the political mafia or „prosperity“,

Of poverty, hunger, or epidemics,
Of the „Ice Bucket Challenge“ or just „challenges“,
Of egoism, psychosis, or depressions,
Of mechanical sex or bank loans,
Of alcoholism or drug addiction
And from many other heights and say,
That the precious fossil of love
Having gone extinct long ago,
Looks much better, more expensive and inobtainable
Between Andy Warhol and Schiele
Than it could have when yet alive.

I say that I go about from city to city, museum to museum,
Sleeping and waiting at train stations and airports,
To say, „God, I have been everywhere to see you,
Searching for you in all places,
Everywhere except within me.
I got up in the morning and off I went,
Not sleeping at night, constantly moving,
To not think about the love extinguished inside of me
And I think that I, the greatest traveler of my time,
will come across love in some museum installation –
a tool of modern art,
Taking a „selfie“
With my newly-purchased „iPhone 6“
And posting a status,
That I „feel so much more fantastic with love as
never before,
that died out earlier than the dinosaurs“.

The Clock Hands


Pa, you're now asleep...
I'm still sitting at your writing desk
With the desk lamp blazing away
As it does every night.
I write every night
Whatever it may be,
And your breathing
Falls directly on my table
Like a sun ray rebounding through space.
Thirty times a minute
(I count your breaths every night),
I dip my fingers into the moment
Like ink, even just ten times,
and write,
Either this or that...
Yeah, you're now asleep.
You go to sleep earlier than me as of recently.
You go to sleep, but once an hour
You check the light of my lamp,
Calling out to me every hour,
Checking up on me...
And when I turn off the light and
Get ready for bed,
You open your eyes at that moment
And call me, asking me

If I'm lying down or not.
At that instant I don't want to believe
That I've already grown up.
You probably don't want to either,
Yet, recently,
You and I together
Have kept my first gray hairs a secret
(I hand the scissors to you
and you find them yourself).
I obstinately go about in sneakers however,
Putting on everything childish
and ridiculous
(I don't know, you always laugh
When I leave the house in the morning,
And even then, when I return home).
I don't want to believe that I've grown up
Neither is it your wish, probably.
You ask me every evening,
„Where have you been all this time?“
When at that time you know that
I've been at work.
I no longer worry about answering as before,
Just smiling at you,

You wait for me however – as always,
Gazing at the clock every evening.
Pa, even now you are lying down,
Awaiting my passage into slumber,
Like every night.
You have opened your eyes, calling out to me,
„You aren't cold, are you?“ I answer you
Bluntly, „No“, and continue writing,
I became anxious, not wanting my words to fall flat.
You have grown silent too, perhaps even being a little
offended
(Yet, what do you know that I'm trying
to write something about you right now)..
Pa, I have now dipped my cold fingers
Into your hurt feelings, exhaled... And have written the
final words:
Pa, you know how we resemble the hands on a clock-
face.
You – the big one, I – the small one.
You go, I follow after you...
You go, I follow after you...

Translated by Eirik Theophan Halvorson

ქართველი პოეტი ქალები
Georgian Female Poets





ღია ლიქოკელი

Lia Liqokeli

ლია ლიქოკელი – პოეტი, პროზაიკოსი, დაიბადა 1986 წელს, ხევსურეთში. სკოლა დაამთავრა ბარისახოში. პროფესიით რეჟისორია. სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. მუშაობდა თეატრის რეჟისორად, ამჟამად მუშაობს „გია ქარჩხაძის გამომცემლობაში“. მას წარმატებული დებიუტი 2013 წელს შედგა ლექსების კრებულით „დევის ცოლის სიცილი“, რომელსაც 2014 წელს მიენიჭა პრესტიჟული ლიტერატურული პრემია „საბა“. ეს წიგნი ითარგმნა და გამოიცა შვედეთში. ასევე პრესტიჟული პრემიებით დაჯილდოვდა მისი პროზაული ნაწარმოებებიც. ის არაერთი კონკურსის გამარჯვებულია.

Lia Liqokeli – poet, prose writer and a stage-manager, born in 1986, lived in the high mountain region of Georgia – Khevsureti. At present she works for the Gia Karchkhadze Publishing House. Her first poems were published in 2013. In 2014 she got one of the most prestigious literary awards in Georgia Saba Prize for her collection of rhymes called „Laughter of Giant’s Wife“. The same year this book was translated and published in Sweden. Lia Liqokeli is also popular for her short stories and is a winner of a number of literary contests. Her poems are translated and published in Germany.

* * *

მე პაპაჩემი მძულდა და მინდოდა, მომკვდარიყო.
მძულდა მისი წყლისფერი თვალები, როცა მიყურებდა
და ვგრძნობდი,
ერჩია, ვინმე სხვა დაენახა.
მძულდა მისი ქუდი, რომელსაც მხოლოდ ძილში იხდიდა
და ბავშვობიდან ვიცოდი, დავისჯებოდი, თუ შევეხებოდი.
მძულდა სახლის სიჩუმე მისი შინ ყოფნისას,
თითისწვერებზე სიარული და სიცილის მოთმენა,
როცა ხასიათზე არ იყო.
მძულდა ჯოხი, რომელსაც ძროხებს ურტყამდა და
ზოგჯერ ჩემს კატას,
ცული, რომლითაც ტყეში დადიოდა და ხეებს ხოცავდა
ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, სანამ სიარული შეეძლო.
მძულდა მისი მსუბუქი, მოძრავი სხეული,
რომელსაც ვერაფრით ეწეოდა სიბერე.
და ვფიქრობდი, ვერც სიკვდილი დაეწეოდა.
წელიწადში ორჯერ მიდიოდა ქალაქში მანქანის
ნაწილების საყიდლად,
ან რაღაც სხვა საქმის მომიზნებით.
აუცილებლად შეივლიდა აბანოში და ნავთლულის
ბაზარში,
საიდანაც მოჰქონდა ბევრი უსარგებლო ნივთი
და ჭრელი საკაბეები დედაჩემისთვის.
ერთხელ ყური მოვკარი, ამბობდნენ, რომ ქალაქში
ქალი ჰყავს,
და წელიწადში ორჯერ მისთვის მიაქვს ბებიჩემის
გაკეთებული ყველი.
უკან დაბრუნებულს მოჰქონდა ავტობუსების
სადგურში ნაყიდი

ძველი, ძნელად დასაღეჭი თაფლაკვერები.
ის თაფლაკვერები ყველაფერს მერჩია და ისე ვჭამდი,
არავის გაეგო.

ვჭამდი და ვფიქრობდი, რომ ეს კაცი
არასოდეს მოკვდება.

როცა ბებიჩემი აღარ იყო, ყველა ამბობდა,
რომ ძალიან დააკლდა.

მე კი ვფიქრობდი, რომ ასე უკეთესად ცხოვრობს, –
დამთავრდა ყოველდღიური ჩხუბი
მიწამდე დახრილ, ხერხემალზე ცხოვრება
გადაკიდებულ ბებიჩემთან,

და ზუსტად ვიცოდი, რომ დამნაშავეა –
მასთან მოსული სიკვდილი გააცურა და ჩემი
გატანჯული ბებია შეაჩეჩა.

მერე თანდათან მოტყდა.

ტყეში ველარ დადიოდა, კიდევ უფრო დამძიმდა და
გართულდა.

მე კანი მეწვოდა მისი თვალებისგან
და ყოველდღე ვუყრიდი საჭმელში უზომოდ
ბევრ მარილს და წიწაკას,
იმდენად ბევრს, რომ მთელი ღლეები ხველება ახრჩობდა.
მაგრამ ხმას არ იღებდა. მიყურებდა და ჭამდა.
და მე ვფიქრობდი, რომ ეს სიძულვილი არის ჩემი
ჯოჯოხეთი.

მერე რამდენჯერმე მძალე ღვინის ძმრით გაჟღენთილი
საზამთროს ნაჭრები ვაჭამე.

ხმა არ ამოუღია.

და ვიფიქრე, რომ ეს არის ჯოჯოხეთზე მეტი

და ჩემს თავში ცხოვრება აღარ შემიძლია.
ბოლოს დაპატარავება დაიწყო.
მეხსიერებაც დაკარგა და მოძრაობის უნარიც.
თოთო ბავშვივით უვლიდა მამაჩემი,
კოვზით აჭმევდა და საფენებს უცვლიდა.
ზუსტად ერთი წელი კვდებოდა,
და როცა ყველაფერი დამთავრდა,
მე დიდხანს მესიზმრებოდა, როგორ ბრუნდება სახლში
საიმედოდ დამარხული პაპაჩემი,
როგორ მიყურებს ღვინის ძმარში დამბალი თვალებით,
როგორ ჩამოსდის ნიკაპზე საჭმლის წინააღიანი წვენი,
და ვიცოდი, რომ მხოლოდ ამის გამო,
თუნდაც მხოლოდ ამის გამო
ვისაც გავაჩენ, ვერ შემიყვარებს, სანამ არ მოვკვდები.
ახლა ვიცი, როგორ მიყვარდეს.
მიყვარდეს ბობოქარი, მძიმე და უჟმური,
ზუსტად ჩემნაირი პაპაჩემი,
ყველასგან შეუყვარებელი,
ქალაქიდან თაფლაკვერების მზიდავი უჯიშო
შვილიშვილებისთვის,
კაცი, რომელმაც იარა, იარა და ბოლოს მაინც
ბებიჩემს მიუწვა
მიტოვებული სოფლის სასაფლაოზე.
ახლა ვიცი, მაგრამ მესამე ზედმეტია,
და ყველა ზედმეტია –
ისინი, ორნი,
ერთად წვანან და იციან, რომ არავინ უყურებს.

* * *

I hated my grandfather and wanted him to die.
I hated his water-colored eyes when he looked at me
and I felt,
that he preferred to see someone else.
I hated his hat, which he took only while sleeping
and I knew since childhood, I would get punished if I
touched it.
I hated the silence of the house in his presence,
our going on tiptoes and not daring to laugh when he was
out of mood.
I hated the stick with which he hit the cows and sometimes
my cat,
his axe which he carried to the woods to kill the trees
every single day except the week-ends, till he failed to walk.
I hated his light, quick body
which old age failed to reach
and I though the death would never reach it either.
Twice a year he would go to the city to buy some car-parts
or with any other pre-texts.
He would go by all means to the city bath and Navtlughi
market
to bring all sorts of useless things
and colorful materials for clothes to my mother.
Once I heard, they rumored that he had a woman in the city
and twice a year took my grandmother's-made cheese to her.
He would bring the biscuits – old, hardly-chewable,
bought at the bus-station.



ნინო ჭინჭარაული

Nino Chincharauli

ნინო ჭინჭარაული – პოეტი, მწერალი, მთარგმნელი. დაიბადა 1988 წლის. გამოცემული აქვს რომანი „ყვითელი, ოქროსფერი, მზისფერი“. - გრიფონი, 2013. ანტონიო მანადოს ლექსების კრებული- „აქ იყო ესპანეთი, სახელად კასტილია“ (მთარგმნელი). არტანუჯი, 2014. რენსომ რიგზი-„მის პერეგრინის სახლი უჩვეულო ბავშვებისთვის (უსულოთა ქალაქი)- (მთარგმნელი), 2016, წიგნები ბათუმში. ხულიო კორტასარის მოთხრობები (მთარგმნელი)- 2016, ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა. საერთაშორისო პროზის კონკურსზე-Penfactory ტოპ 25 საუკეთესო მოთხრობაში შევიდა მისი მოთხრობა „აქ იყო მუსიკა“. საერთაშორისო პოეზიის კონკურსი საიტზე-poemsclub,მესამე საპრიზო ადგილი ლექსისთვის „არ მინდა სახლი“. გურამ რჩეულიშვილის სახელობის კონკურსზე „ალაკვარდობა“ - მიიღო პრემია რომანით „ყვითელი, ოქროსფერი მზისფერი“. თარგმნილია ინგლისურ და ესპანურ ენებზე.

Nino Chincharauli – poet, born in 1988, writer, translator, author of the novel „*Yellow, Golden, Sunny*“ (2013). Her translations include: Antonio Machado’s „*Here was Spain named Castilia*“ (2014); Ransom Riggs-hollow city (2016); Jylío Cortazar’s Stories (2016). In 2015 she was a finalist of the international literary award The Pen Factor for her short story called: „*Here was Music*“. The same year she won the international online (internet) poetry competition Poemsclub.com third prize for her poem - „*I don’t Want a Home*“. Her poems and stories are translated to Spanish and English.

სიგიჟე

ღიმილს კი არა, კბილების კრაჭუნს
ნაჩვევს პირს დანა ერთგულად მიხსნის,
გლოვა კი არა,
სიჩუმე მაფრთხობს,
ცრემლი კი არა,
გამიშრა სისხლი.
თმები კი არა
დავჭერი ფრთები,
სიმღერით ღამეს ვუკიდებ ხანძარს,
დარდით კი არა,
სიცილით ვკვლები
და სარკმლის მიღმა ვიღაცა მლანძღავს...

არ მინდა სახლი

არ მინდა სახლი,ეს მთებიც კმარა
რა სჯობს ნისლიან გზებზე ხეტიალს?
თუმცა სამყარო სამოთხე არა,
უფრო პატარა ჯოჯოხეთია...
მაინც ჯიუტად ვცხოვრობ ამ გზებზე,
არ ვიცი,
აღბათ სულთ ბოშა ვარ
ან იქნებ მე ჩემს სამოთხეს ვეძებ
ღმერთმა ამ მთებზე რომ გადმოშალა.
ცხოვრება მკაცრად მკარნახობს წესებს
და ვძულვარ ურჩი,
ცუდი მსმენელი.
რა ვქნა...ბედს ვანდობ
მარტოდენ ლექსებს
დაწერილიც და დაუწერელიც
სულ ყველა მე ვარ,რად მინდა სახლი?
მყოფნის სამყაროს ლაბირინთებიც,
ამ ჯოჯოხეთს კი მეთვითონ დავლლი,
ნისლებით, გზებით, მთებით, რითმებით...

Madness


Not a smile, but a gnashing
Used my mouth will open knife,
Not a bewail,
silence scares me,
Not the tears,
My blood is dry.
Not a hair,
I cut my wings and
Burning night with only song,
Not a grief,
My laughing kills me
And from the window someone scolds

I don't Want a Home

I don't want a home,
These mountains are enough!
Which is the better, then walking on the shabby roads?
But world is not a heaven, not a paradise,
Just a little hell it goes
Still stubbornly I live on these ways,
Don't know why, perhaps I have a gipsy soul,
Or maybe looking for my own paradise,
Which at thins mountains god overexposed.
Life in strongly leads me to the rules,
Hates me because of being disobedient, and bad listener,
What can I do, I give my fate to my poems,
All in all I am, those written, and unwritten.
I don't need a home, why should I want it?
Enough for me the mazes of the universe,
And this little hell will be wearied by me
With my mountains, fogs and rhythms of the verse

Translated by author

ქართველი პოეტი ქალები
Georgian Female Poets



ანთოლოგია
ქართველი პროექტი ქალები

Georgian Female Poets
Anthology